# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№134 (25.014) ხუთშაბათი, 8 - 9 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს მარეკ შჩიგელს შეხვდა. გამოსამშვიდობებელ შეხვედრაზე საუბარი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობას შეეხო. მთავრობის მეთაურმა მარეკ შჩიგელს მისიის ეფექტური მუშაობისთვის და გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა. აღინიშნა, რომ ევროკავშირის სხვა ღირებულ ინსტრუმენტებთან ერთად, სადამკვირვებლო მისიის ყოფნა საქართველოში ნათლად ასახავს ევროკავშირის მნიშვნელოვან როლს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებთან გამკლავებასა და კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაში.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ლუქსემბურგის წარმომადგენელთა პალატის ვიცე-პრეზიდენტებსა და პარლამენტის წევრებს შეხვდა. მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების გზებსა და საპარლამენტო კავშირების გააქტიურებაზე ისაუბრეს. შალვა პაპუაშვილმა კოლეგებს ევროკავშირის 12 რეკომენდაციის განხორციელების პროგრესი გააცნო. ლუქსემბურგის მხარემ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას ევროკავშირის წევრობის გზაზე. ისაუბრეს სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, აგრეთვე, საქართველოს მზარდ სატრანზიტო როლსა და გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე.

* * *

ის იღებს მისთვის სასურველ საკვებს მისთვის სასურველ დროს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ ემორჩილება იმ მკურნალობის კურსს, რომელიც შერჩეულია ექიმების მიერ, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შესახებ საუბრისას. მისი თქმით, „ეს არის, გარკვეულწილად მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს თვითდაზიანებას და ეს ადამიანი, სამწუხაროდ, მოქმედებს ისევ თვითდაზიანების რეჟიმში, როგორც მოქმედებდა, მაგალითად, №12 პენიტენციურ დაწესებულებაში, როდესაც არ იღებდა მკურნალობისთვის აუცილებელ მედიკამენტებს“, - განაცხადა ბრეგაძემ.

* * *

თუ ყოფილი პრეზიდენტის საზღვარგარეთ გადაყვანა არ მოხდა, პარტია პროტესტის რადიკალურ ზომებს გამოიყენებს, რომელიც კონსტიტუციურ ჩარჩოებში იქნება მოქცეული, - ამის შესახებ ენმ-ის წევრმა გიორგი ბოტკოველმა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში ყოფილი პრეზიდენტის საკითხზე და სამომავლო გეგმებზე გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა. შეხვედრას პარტიის სამდივნო, საპარლამენტო ფრაქციის წევრები და პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატი გიორგი მუმლაძე ესწრებოდნენ.

**მოამზადა ია შველიძემ**

# საქართველო და საბერძნეთი დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილეს აღნიშნავენ

**ნაირა ფუტკარაძე 27 48 93**

*აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში, მარია თეოდორუსთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა*



აჭარის მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის ეკონომიკური და ტურისტული ურთიერთობის გაღრმავების შესაძლებლობებზე, საინვესტიციო პოლიტიკაზე, კულტურული და საგანმანათლებლო მიმართულებით პარტნიორობის განმტკიცებაზე.

უწყების ცნობით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ბერძნულ მხარეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„მარია თეოდორუმ აჭარის მთავრობის მეთაურს ევროპის საზღვაო რეგიონების ვიცე-პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევა მიულოცა და ბათუმის საერთაშორისო ტურისტული და კულტურული მიმართულებით მიღწეულ აღიარებებს გაუსვა ხაზი.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველო და საბერძნეთი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლის იუბილეს აღნიშნავენ.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრას საელჩოს კომერციული მდივანი ხრისა თანასა ესწრებოდა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

# ნონა ეფაძე: მიუხედავად იმისა, რომ გრიპის შემოტევა მომატებულია, პანიკის საფუძველი არ არის

**ფიქრია დავლაძე 597 25 25 72**

*ზამთრის დადგომასთან ერთად, გრიპის სხვადასხვა ტიპის ვირუსმა იჩინა თავი. ვირუსული ინფექციები ნოემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყო და ძირითადად, რისკჯგუფებში - მოხუცებსა და ბავშვებში გავრცელდა*

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევათა პიკი დეკემბერ-იანვარში იქნება. ამ ეტაპზე რინოვირუსი, ადენოვირუსი, ბოკავირუსი, რესპირაციულ-სინციტიური ვირუსი, კორონავირუსი ცირკულირებს. გარდა ამისა, საქართველოში დაფიქსირდა ჰონკონგვირუსი (H1N3), ღორის გრიპი (H1N1). გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე წელს ოფიციალურად 10-მდე ვირუსია დაფიქსირებული, ვირუსულ დაავადებებთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვაზე გაზეთ „აჭარას“ აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსის მოადგილე ნონა ეფაძემ უპასუხა.

**- მიმდინარე წელს რა ტიპის ვირუსები ცირკულირებს?**

- წლევანდელი წელი გასულ წლებთან შედარებით გამოირჩევა იმ თვალსაზრისით, რომ დომინირებს ტიპის ვირუსი, რომელშიც იგულისხ-



მება H3N2 ე.წ „ჰონკონგვირუსი“, რომელიც ახალი ვირუსი არ არის.

**- არის თუ არა საგანგაშო სტატისტიკა?**

- 48-ე კვირის მონაცემებით, აჭარაში 100 ათას მოსახლეზე 400-მდე ამბულატორიული შემთხვევაა დაფიქსირებული. ამ სტატისტიკით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემთხვევა მომატებულია, თუმცა არ არის საგანგაშო. მოსახლეობას არ აქვს პანიკის საფუძველი.

**- რამდენად ეფექტურია გრიპის ვაქცინა, რომელიც მოსახლეობამ ბოლო პერიოდში უფასოდ გაიკეთა?**

- ვაქცინაციას რაც შეეხება, თქვენ იცით, რომ სექტემბრის ბოლოდან დაიწყო ვაქცინაციის პროგრამა და ამ დრომდე გრძელდება. 23 000 დოზაა ამ ეტაპზე გაცემული. გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ 10 დეკემბრამდე ნებისმიერ მსურველს შეუძლია გრიპზე ვაქცინაციის ჩატარება სრულიად უფასოდ.

**- ძირითადად, ვირუსით ინფიცირების შემთხვევები რა ასაკის მოსახლეობაშია?**

- ძირითადად, ბავშვები ავადდებიან, რადგან ახლა სწორედ ისეთი გრიპი ცირკულირებს, რომ 2-3 წლამდე ასაკის პატარები არიან რისკჯგუფები. აუცილებელია რეკომენდაციების დაცვა, ესაა, ხელების ხშირი დაბანა, გრიპის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში კი დროულად მიმართვა ოჯახის ექიმზე და მისი რჩევების გათვალისწინება.


**ნუ მოკლავ!** 3

**წიგნის გზამკვლევი, ქომაგი, მწერალი...** 5



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# მერებს, საკრებულოს თავმჯდომარეებსა და რესურსცენტრების ხელმძღვანელებს სპეციალური დიპლომები გადაეცათ

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*არსებობის ორ ათეულ წელზე მეტი, განათლების გზაზე დაყენებული ათასობით ახალგაზრდა, უამრავი მხარდამჭერი თუ თანამოაზრე და, რაც მთავარია, უცვლელი კრედო - მომავალი თაობების განათლებაზე ზრუნვა... - ეს „ეტალონის“ და მისი სხვა პროექტების მიღწევათა არასრული ჩამონათვალია*



ფაქტი ერთია - ეროვნულ-საგანმანათლებლო პროექტის ავტორს გოჩა ტყეშელაშვილს და მის გუნდს არასოდეს გადაუხვევიათ არჩეული გეზიდან და ორმაგად სასიხარულო ისაა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ზუსტად იაზრებენ ამ პროექტების მნიშვნელობას.

ამჯერად, „ეტალონი“ აჭარას ესტუმრა, სადაც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა შეხვედრა ხელვაჩაურის, ქედის, ხულოსა და შუახევის მერებთან, საკრებულოს თავმჯდომარეებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან. მათ გოჩა ტყეშელაშვილმა ყველაზე ეროვნული სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტების: etaloni.ge-ს, izrune.ge-ს, ასევე ამ პლატფორმების ერთგულებისთვის, სპეციალური დიპლომები გადასცა.

ამასთან, სახელმწიფო მოხელეებს სახალხო აღიარების ტიტული მიენიჭათ „სასკოლო მზაობის დიდებული საოჯახო წიგნი რვეულის - „პირველკლასელთა აკადემიის“ მხარდაჭერის გამო.

განსაკუთრებული მადლიერებითა და სიამაყით სპეციალური დიპლომი გადაეცათ და სახალხო აღიარების ტიტული მიენიჭათ თანამოაზრე დეპუტატებს, მათ შორის: ხულოს, შუახევის, ქედის და ხელვაჩაურის მაჟორიტარ დეპუტატს, ანზორ ბოლქვაძესა და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ფრიდონ ფუტკარაძეს.

სპეციალური დიპლომები გადაეცათ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერ ზაზა დიასამიძეს, საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძეს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ ხათუნა დიდმანიძეს ხულოს მუნიციპალიტეტის მერ ვახტანგ ბერიძეს, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძეს და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ ედუარდ მიქელაძეს, შუახევის მუნიციპალიტეტის მერ ომარ ტაკიძეს, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძეს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ ედუარდ გოგრაჭაძეს, ქედის მუნიციპალიტეტის მერ როლანდ ბერიძეს, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძეს, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელ დურმიშხან შავიშვილს.

მოგვიანებით, ანზორ ბოლქვაძემ ვიზიტი შეაფასა და „ეტალონის“ მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ჩვენ მიმოვიხილეთ გასული წლების მიღწევები, ვისაუბრეთ იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ისეთი საგანმანათლებლო პროექტის მხარდაჭერა, როგორიც „ეტალონია“ და მოხარული ვარ, რომ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს სპეციალური დიპლომები ბატონმა გოჩამ პირადად გადასცა... ჩვენი ვალია, მომავალი თაობების განათლებას მოვახმაროთ საკუთარი რესურსები, „ეტალონი“ კი წლებია ამ დიდ მიზანს ემსახურება და ასეც უნდა იყოს - მომავალი თობა თუ არ გვაინტერესებს, ხვალინდელი დღე ბედნიერი ვერ იქნება; ყოველთვის მივესალმებით „ეტალონს“, ვაფასებთ და მიგვაჩნია, რომ „ეტალონი“ და მისი პროექტები აუცილებლად უნდა გაგრძელდეს“.

ფრიდონ ფუტკარაძემ კი დასძინა, რომ ეს დიპლომები დამატებითი მოტივაციაა, „ეტალონთან“ მეგობრობა მეტად გაღრმავდეს: „ესაა უმნიშვნელოვანესი პროექტები ჩვენი მომავალი თაობებისთვის, რომლებშიც ჩართულები არიან არა მხოლოდ მოსწავლეები, არამედ მათი ოჯახები და პედაგოგები... მუდმივად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ „ეტალონს“, რათა მეტად განვითარდეს, სპეციალური დიპლომები კი, რომლებიც გადმოგვეცა, დამატებითი მოტივაციაა, გავაღრმაოთ თანამშრომლობა და „ეტალონთან“ ერთად, აღვზარდოთ განათლებული თაობები“.

# აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო „PET“ კვლევის დაფინანსებას ზრდის

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*2023 წლიდან აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევის დაფინანსებას 90-100 %- მდე გაზრდის*



ასევე, კვლევა დაუფინანსდება ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა პაციენტს.

საქართველოში PET კვლევის დაფინანსება პირველად აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ 4 წლის წინ დაიწყო. დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ტარიფით განსაზღვრული პროპორციების დაცვით.

PET-CT (Discovery 710) პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიული კვლევის ჩატარება პაციენტებს უკვე აჭარაშიც შეუძლიათ. ახალი სამედიცინო სერვისი ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკაში ამოქმედდა. სერვისს ადგილზე აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარი ზანაქიძე გაეცნო.

„უპირველესად, სამინისტროს სახელით, მადლობას ვუხდი ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკას ამ უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობისთვის. ერთი მხრივ, კვლევა წარმოადგენს ოქროს სტანდარტს ონკოლოგიური პათოლოგიის დიაგნოსტიკაში, მეორე მხრივ, სერვისი უკვე ხელმისაწვდომია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ამბულატორიული, მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევებისა და მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურების პროგრამების ფარგლებში, აღნიშნულ კვლევას 2018 წლიდან აფინანსებს, დღემდე ჩვენს ბენეფიციარებს სერვისის მისაღებად დედაქალაქში უწევდათ გადაადგილება, რაც დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მომავალი წლიდან სამინისტრო გაზრდის როგორც ბენეფიციართა რაოდენობას, ისე დაფინანსების მოცულობას“, - აღნიშნა მარი ზანაქიძემ.

ე.წ. PET კვლევის დაფინანსებით 2018 წლიდან დღემდე, ჯამში 270-მა მოქალაქემ ისარგებლა, რისთვისაც ბიუჯეტიდან 561 210 ლარი გამოიყო.

# სოფლის ცენტრი სახეს იცვლის

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

*შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ცინარეთის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება*

აქ განთავსებულია საჯარო სკოლისა და „სოფლის სახლის“ შენობები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით სკოლის შენობა შეაკეთეს, „სოფლის სახლის“ შენობა უსახურად გამოიყურებოდა. ცენტრში გამავალ სარწყავ არხში წყალი გუბდებოდა და ანტისანიტარიას ქმნიდა. არ ვარგოდა ჯვართან და ხსოვნის მემორიალთან მისასვლელი ბილიკი. ბავშვებს არ ჰქონდათ გასართობი ატრაქციონი.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიამ სოფელ ცინარეთის ცენტრის კეთილმოწყობის მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 106,4 ათასი ლარი გამოყო. საკონკურსო შერჩევის შემდეგ გამარჯვებულმა შპს „ნაციმციმელმა“ სამუშაოების შესრულება ინდმეწარმე რამაზ შარაშიძეს ანდო. ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქმეს გულისხმიერად ეკიდება და სამუშაოებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში დაასრულებს.

მეწარმემ 10-მდე ადგილობრივი დაასაქმა. შაქრო, მიხეილ, ჯემალ, მამუკა, თემურ აბუსელიძეების, მამია დიასამიძის, თამაზ, ზაზა კეჟერაძეების, თემურ ცინარიძის და სხვათა დახმარებით უკვე დაასრულეს „სოფლის სახლის“ თუნუქის ფურცლით შეფუთვისა და კოსმეტიკური სამუშაოები. ასევე, დასრულებულია სანიაღვრე არხის გაყვანა, მიმდინარეობს სავალ ბილიკებზე ქვაფენილის დაგება, შადრევნის რემონტი.

ცინარეთში მიმდინარე სამუშაოებს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მისი მოადგილე გიორგი კეკელიძე და შუახევის მერიის წარმომადგენელი უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში ემზარ დავითაძე გაეცნენ.



- პროექტის ფარგლებში, ცინარეთის ცენტრის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოეწყობა, მალე დასრულდება ბეტონის ფილების დაგება, განთავსდება ნაგვის ურნები. უკვე დასრულების ფაზაშია საბავშვო ატრაქციონი, - გვითხრა როსტომ ლორთქიფანიძემ.

## ამბები

# სოციალური სახლები - ქობულეთის მუნიციპალიტეტში

ფიქრია დავლაძე 579 25 25 72

*წყავროკაში, მუხაესტატეში, ნაკაიძეებსა და ციხისძირში მოწყვლადი კატეგორიის ოჯახებისთვის მერია ინდივიდუალურ სახლებს აშენებს*

პროგრამა მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით ხორციელდება. ამ დროისთვის 4 სახლის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერიამ ბიუჯეტიდან 230 000 ლარი გამოყო. როგორც ქობულეთის მერიაში იუწყებიან, ორი სახლის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება, დანარჩენი ორის კი 2023 წლის თებერვალში. თითოეული სახლი 70 კვ. მეტრს შეიცავს.

- შევისწავლეთ ოჯახების მდგომარეობა და ოთხი ოჯახი საცხოვრებლით დაკმაყოფილდა. ასევე გაგრძელდება სხვა სოციალურად შეჭირვებული ოჯახების დაკმაყოფილებაც. აღნიშნული პროგრამის გაგრძელებას ვაპირებთ, რათა ბევრი ადამიანის ცხოვრება უკეთესისკენ შევცვალოთ. თითოეული სახლი იქნება 70 კვმ, ოჯახებს ჩაბარდება სრულიად კარგ მდგომარეობაში. ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანია როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალური პროექტები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სახლების მშენებლობა, რომლებითაც დაკმაყოფილდება რამდენიმე სოციალურად დაუცველი ოჯახი. ამ პროგრამას ქობულეთის მუნიციპალიტეტი პირველად ახორციელებს. მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ყველა მოქალაქეს დავუდგეთ გვერდით. ქობულეთში სოციალური სახლის მშენებლობას დავიწყებთ, სადაც ეკომიგრანტ ოჯახებს დავაბინავებთ, - განაცხადა ქობულეთის მერმა ლევან ზოიძემ.

# მრავალფუნქციური სახლი შენდება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

*ქედის მუნიციპალიტეტის ცენტრში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი მრავალფუნქციური სასწრაფო დახმარების სახლის მშენებლობა დაიწყო. პროექტი ორწლიანია და გაისად დასრულდება.*

კაპიტალურ შენობას ექნება წყლისა და კანალიზაციის სისტემა, საჭიროების შემთხვევაში, ავტონომიური ელექტრომომარაგება, გათბობა-გაგრილება-ვინტილაცია, კომპიუტერული და სატელეფონო ქსელი, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების სისტემა. კეთილმოეწყობა ფასადი, გაკეთდება პარკინგის ადგილი.

სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია და მას კონკურსში გამარჯვებული კომპანია შპს „მშენებელი 2016“ ასრულებს. მშენებლობაზე დასაქმებული არიან ადგილობრივები.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ მრავალფუნქციური სახლის მშენებლობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 344 197 ლარი გამოყო.

- მიმდინარე სამუშაოებს გავეცანით, - გვითხრა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, - სამუშაოთა ტემპი ნორმალურია, რაც წინაპირობას იძლევა, რომ მშენებლობა - კეთილმოწყობის სამუშაოები გაისად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დასრულდეს.

# ნუ მოკლავ!

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***ბოლო პერიოდში ფემიციდის - ქალთა მკვლელობის ხშირად უცვლელი, მეტწილად კი მზარდი სტატისტიკა იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია, შესაბამისად, უნდა მოიძებნოს რაღაც მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ფემიციდის შემთხვევების შემცირებას ქვეყანაში***

ფემიციდის პრევენციის მიზნით ქალთა მოძრაობის, კამპანიების, არაერთი განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველო კვლავ რჩება იმ ქვეყანად, სადაც ბოლო რამდენიმე წლის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ როგორი სისასტიკით უსწორდებიან და კლავენ ქმრები, ყოფილი ქმრები თუ მეგობარი მამაკაცები ქალებს. აუცილებელია ყველამ ერთად ვუთხრათ ფემიციდს არა, მოვთხოვოთ სახელმწიფოს, უფრო სიღრმისეულად ეძიოს ფემიციდის გამომწვევი მიზეზები და დასახოს გზები მათი დროულად გადაჭრისათვის.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარის, საკრებულოს წევრ **ლია შაქარიშვილის** განცხადებით, კანონმდებლობის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ სტანდარტებს ვუახლოვდებით, თუმცა, მისივე განმარტებით, ფემიციდის ასეთი მაღალი მასშტაბის მიზეზი ცნობიერების დონის ნაკლებობაა:

- ძალიან მნიშვნელოვანია აქტიური საინფორმაციო კამპანიები, ამავდროულად, აუცილებელია ძალადობის პრევენცია. ვფიქრობ, ძალადობის მსხვერპლთა დაცვასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა იფიქროს მოძალადეების რეაბილიტაციაზეც. აღნიშნული იქნებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც შეამცირებდა ძალადობის ფაქტებს. თითოეული მოძალადის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას თუ შევისწავლით, ვნახავთ, რომ ეს უმეტესწილად ბავშვობიდან მოდის და შეიძლება მათ ქცევას გამართლება - არა, მაგრამ ახსნა მოეძებნოს. მოძალადეების რეაბილიტაციისთვის შეიძლება სოლიდური რესურსები იყოს საჭირო, მაგრამ ადამიანის სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერია, ამიტომაც, თუკი სახელმწიფო, შესაბამისი სტრუქტურები იზრუნებენ იმ ტიპის სერვისის შექმნაზე, რასაც ჰქვია მოძალადის რეაბილიტაცია, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ფემიციდის ფაქტებს. ამ კუთხით უკვე შეიძლება ფიქრის აქედანვე დაწყება, პირველი ნაბიჯების გადადგმა. სხვადასხვა მექანიზმია საჭირო, ერთი მხრივ, აქტიური საინფორმაციო კამპანიები, გენდერული საბჭოების წარმომადგენლების გასვლა მოსახლეობაში, შეხვედრები არა მხოლოდ ქალებთან, ასევე მამაკაცებთან. კამპანიაში აუცილებელია სკოლის და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აქტიურად ჩართვა. ვიცით, რომ სკოლებში ისწავლება სამოქალაქო განათლების საგანი, რომლის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა იყოს გენდერული თანასწორობის საკითხები. ვფიქრობ, ძალიან სათუთად უნდა აიხსნას ეს ყველაფერი, რათა თავიდანვე სწორი ინფორმაცია ჰქონდეთ მოზარდებს, თუ რა არის თანასწორობა, ძალადობა, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს იქამდე, რომ თუ მთლიანად ვერა, ნაწილობრივ მაინც აღმოვფხვრით ფემიციდის ფაქტებს ქვეყანაში, ამავდროულად, გაცილებით ჯანსაღი საზოგადოება გვეყოლება, - გვითხრა ლია შაქარიშვილმა.



სკოლის ასაკიდანვე ბავშვებისთვის ფემიციდის, გენდერული თანასწორობისა და სხვა საკითხების შესახებ აუცილებელი ინფორმაციების მიწოდებას ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქართველოს პარლამენტის წევრი, დეპუტატი **ნინო წილოსანი**.

- მსოფლიო აღიარებს, რომ ფემიციდი არ არის ბოლომდე შესწავლილი ფსიქო-სოციალური მოვლენა. მიუხედავად იმისა, კანონი საკმაოდ მკაცრია და დამნაშავე ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას, ის მაინც სჩადის სასტიკ დანაშაულს. შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად, ოქროს ფორმულასავით არის სათანადო კანონმდებლობა, ამ კანონმდებლობის შესაბამისი აღსრულება, რომელშიც გამოსავალს ვხედავთ. აუცილებელია საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება და, რაც მთავარია, ეს უნდა მოხდეს განათლების სისტემიდან, სკოლიდან, ბაღიდან. ცნობიერების ამაღლების შემდეგ, ჩვენ კიდევ უფრო მეტი რესურსი უნდა ჩავდოთ ქალების გაძლიერებაში, რათა მათ დროულად დააღწიონ თავი ძალადობას და მოძალადეს. არის მსოფლიო პრაქტიკა,



როდესაც ქალების გაძლიერებაზე განსაკუთრებული ძალისხმევა იხარჯება, გარკვეულწილად, ამ პერიოდში შეიძლება ძალადობის ფაქტები სტატისტიკურად ცოტათი მზარდი იყოს, მაგრამ დინამიკა მალევე იწყებს შემცირებას. ჩვენ არ ვაჩერებთ ბრძოლას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და ფემიციდის ფაქტების პრევენციის კუთხით, შესაბამისად, გვაქვს მოლოდინი, რომ ამგვარი მძიმე და საშინელი ფაქტები, რაც თუნდაც რამდენიმე დღის და თვეების წინ მოხდა ჩვენს ქვეყანაში, იქნება შემცირებული, - აღნიშნა ნინო წილოსანმა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ფატი ხალვაში** თვლის, რომ პრობლემა გლობალურია, შესაბამისად, მიაჩნია, რომ მის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად აუცილებელია სახელმწიფოს ყველა რგოლის ერთნაირი ჩართულობა.

- უნდა შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, ან რაიმე სხვა, რომელიც ფემიციდს და, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ამ კუთხით მზარდ სტატისტიკას, ამავდროულად, გამომწვევ მიზეზებს შეისწავლის. მიმაჩნია, რომ ამ საკითხს რაღაც ახალი მიდგომა სჭირდება. მიუხედავად იმისა, აღნიშნული მიმართულებით საკანონმდებლო დონეზე გვაქვს ცვლილებები, გვაქვს ცენტრები, სადაც ხდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქალების გაყვანა, ვფიქრობ, საკმარისი არ არის და ამ საკითხს ალბათ უფრო ძირეული შესწავლა და ახლებური მიდგომები სჭირდება, რომელშიც ერთნაირად ჩართული იქნება ყველა უწყება, ყველა მუნიციპალიტეტი, რწმუნებულები, მერიები, სოციალური სამსახურები, რაც აუცილებლად მოგვიტანს თვალსაჩინოდ დადებით შედეგს, - გვითხრა დეპუტატმა.

*„უნდა შეიქმნას საკოორდინაციო საბჭო, ან რაიმე სხვა, რომელიც ფემიციდს და, სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ამ კუთხით მზარდ სტატისტიკას, ამავდროულად, გამომწვევ მიზეზებს შეისწავლის. მიმაჩნია, რომ ამ საკითხს რაღაც ახალი მიდგომა სჭირდება*

უნდა გამკაცრდეს ზომები და ეს ვალდებულება სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს, - მიაჩნია პოეტ **ნანა (ნანო) შაინიძეს**. მისივე თქმით, სათანადოდ უნდა დაისაჯოს ნებისმიერი დამნაშავე, რომელიც ქალზე რაიმე ფორმით იძალადებს.

- ცალკ-ცალკე და ყველამ ერთად უნდა ავიმაღლოთ ხმა. ვფიქრობ, ქალებს იმხელა ძალა გვაქვს, თუ გავერთიანდებით, თუ სწორად მივიტანთ ჩვენს სათქმელს იქ, სადაც უნდა მივიტანოთ, პრობლემას მიეხედება. ქალებს ვეტყვი, რომ, პირველ რიგში, შეძლონ თავის დაცვა, იცოდნენ საკუთარი უფლებები, გაძლიერდნენ, დათმონ მხოლოდ იქ, სადაც ოჯახის ერთიანობას ეხება საქმე, დანარჩენ შემთხვევაში, არამც და არამც. მჯერა, ყველა ქალი ერთნაირად ავიმაღლებთ ხმას ყოველგვარი უსამართლობის, ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ, არავის მივცემთ ჩვენი უფლებების გათელვის უფლებას, - განაცხადა ნანა (ნანო) შაინიძემ.

*„ამ პერიოდში შეიძლება ძალადობის ფაქტები სტატისტიკურად ცოტათი მზარდი იყოს, მაგრამ დინამიკა მალევე იწყებს შემცირებას. ჩვენ არ ვაჩერებთ ბრძოლას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და ფემიციდის ფაქტების პრევენციის კუთხით, შესაბამისად, გვაქვს მოლოდინი, რომ ამგვარი მძიმე და საშინელი ფაქტები, რაც თუნდაც რამდენიმე დღის და თვეების წინ მოხდა ჩვენს ქვეყანაში, იქნება შემცირებული*





*„თითოეული მოძალადის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას თუ შევისწავლით, ვნახავთ, რომ ეს უმეტესწილად ბავშვობიდან მოდის და შეიძლება მათ ქცევას გამართლება - არა, მაგრამ ახსნა მოეძებნოს. მოძალადეების რეაბილიტაციისთვის შეიძლება სოლიდური რესურსები იყოს საჭირო, მაგრამ ადამიანის სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერია, ამიტომაც, თუკი სახელმწიფო, შესაბამისი სტრუქტურები იზრუნებენ იმ ტიპის სერვისის შექმნაზე, რასაც ჰქვია მოძალადის რეაბილიტაცია, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს ფემიციდის ფაქტებს*

*„ცალკ-ცალკე და ყველამ ერთად უნდა ავიმაღლოთ ხმა. ვფიქრობ, ქალებს იმხელა ძალა გვაქვს, თუ გავერთიანდებით, თუ სწორად მივიტანთ ჩვენს სათქმელს იქ, სადაც უნდა მივიტანოთ, პრობლემას მიეხედება. ქალებს ვეტყვი, რომ, პირველ რიგში, შეძლონ თავის დაცვა, იცოდნენ საკუთარი უფლებები, გაძლიერდნენ, დათმონ მხოლოდ იქ, სადაც ოჯახის ერთიანობას ეხება საქმე, დანარჩენ შემთხვევაში, არამც და არამც*

## უცხოეთი

პოლონეთი საკუთარ ტერიტორიაზე გერმანული საჰაერო თავდაცვის სისტემის პეტრიოტის განსალაგებლად ემზადება მას შემდეგ, რაც ოფიციალურმა ბერლინმა ამ სისტემის უკრაინაში განთავსებაზე უარი განაცხადა. ინფორმაციას პოლონეთის თავდაცვის მინისტრი მარიუშ ბლაშჩაკი ავრცელებს. გასულ თვეში, გერმანიამ ოფიციალურ ვარშავას ზემოაღნიშნული სისტემის განთავსება პოლონეთის საჰაერო სივრცის დასაცავად მას შემდეგ შესთავაზა, რაც პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე რაკეტა ჩამოვარდა და ორი ადამიანი გარდაიცვალა. „გერმანიის თავდაცვის უწყებასთან საუბრის შემდეგ, იმედგაცრუებული ვარ, რომ უარი უნდა განვაცხადო უკრაინისთვის დახმარებაზე. დასავლეთ უკრაინაში პეტრიოტების განლაგება გაზრდიდა პოლონელებისა და უკრაინელების უსაფრთხოებას. ასე რომ, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რათა პეტრიოტები პოლონეთში განვათავსოთ და ისინი ჩვენს სამეთაურო სისტემას დავუკავშიროთ“, - განაცხადა ბლაშჩაკმა.

* * *

კრემლის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი აცხადებს, რომ ეთანხმება აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის კომენტარს უკრაინაში გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ მოსკოვი ამ მომენტში მოლაპარაკებების პერსპექტივას ვერ ხედავს. მისი თქმით, იმისთვის, რომ პოტენციურ პარტნიორებთან მოლაპარაკებები გამართოს, რუსეთმა უნდა შეასრულოს თავისი „სპეციალური სამხედრო ოპერაციის“ მიზნები. ცნობისათვის, ბლინკენმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაიწყო ეს ომი და შეუძლია ხვალვე დაასრულოს. „რაღაც მომენტში ეს დასრულდება და თითქმის აუცილებლად დასრულდება დიპლომატიით, მოლაპარაკებით, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ უნდა ვნახოთ სამართლიანი და გრძელვადიანი და არა ყალბი მშვიდობა“, - განაცხადა ბლინკენმა.

* * *

წინასწარი მონაცემებით, აშშ-ში, „დემოკრატებმა“ სენატში უმრავლესობა განიმტკიცეს - ჯორჯიის შტატში, მეორე ტურში, სენატორმა რაფაელ უორნოკმა „რესპუბლიკელ“ კონკურენტზე ჰერშელ უოკერზე გაიმარჯვა. პრეზიდენტ ჯო ბაიდენის პარტია ახლა კონგრესის 100-ადგილიან ზედა პალატაში 49 ადგილს იკავებს. შუალედური არჩევნების შედეგი „რესპუბლიკელებისთვის“ იმედგამაცრუებელი აღმოჩნდა - პარტიამ გასულ თვეს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში მხოლოდ სუსტი უმრავლესობა მოიპოვა.

* * *

გერმანელმა სამართალდამცველებმა მთავრობის დამხობის ბრალდებით 25 პირი დააკავეს. ულტრამემარჯვენე და ყოფილი სამხედრო პირები ბერლინში, პარლამენტის შენობაში შეჭრას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. შეთქმულთა შორის არიან ექსტრემისტული მოძრაობა Reichsb?rger-ის (რაიხის მოქალაქეები) წევრები, რომლებიც ძალადობრივი თავდასხმებისა და რასისტული შეთქმულების თეორიების გამო დიდი ხანია, გერმანიის პოლიციის ყურადღების არეალში არიან. ამ ექსტრემისტული მოძრაობის წევრები არ აღიარებენ თანამედროვე გერმანულ სახელმწიფოს და სურთ ამჟამინდელი რესპუბლიკის 1871 წლის გერმანული მოდელით შექმნილი ახალი სახელმწიფოთი ჩანაცვლება.

მოამზადა
ია შველიძე

# „ამ ასაკშიც მუდმივად ახლის ძიებაში ვარ“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*შუახევის საჯარო სკოლების მოქმედი დირექტორებიდან* ***ალექსანდრე შარაშიძე*** *პირველია, ვისაც „საპატიო შუახეველის“ წოდება მიენიჭა. 7 ათეულ წელს გადაცილებული ახლაც წარმატებით უძღვება ჭალის საჯარო სკოლას.*

**- ბატონო ალექსანდრე, რამდენად ელოდით, რომ მრავალწლიან პედაგოგიურ მუშაობას ასე შეგიფასებდნენ?**

- 54 წელია, პედაგოგიურ მუშაობას ვეწევი, 1984 წლიდან 2005 წლამდე ვიყავი ჭალის სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. 2005 წლიდან დღემდე ამავე სკოლის დირექტორი ვარ, პარალელურად ვასწავლი მათემატიკას. ამ ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ერთხელაც არ მქონია საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. უღრმესი მადლობა შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მერიას, საკრებულოს, რესურსცენტრს ჩემთვის „საპატიო შუახეველის“ წოდების მონიჭებისთვის, რაც უფრო მეტ პასუხისმგებლობას მავალებს შემდგომ მუშაობაში.

**- „საპატიო შუახეველის“ წოდება თქვენს თანასოფლელ რამაზ სურმანიძეს ჯერ კიდევ წინა საუკუნეში მიენიჭა. მის ღვაწლს მშობლიური სოფლისა და ქვეყნის წინაშე როგორ აფასებთ?**

- განუზომელია აწ განსვენებულ ბატონ რამაზის ღვაწლი როგორც მშობლიური სოფლის, ასევე ქვეყნის წინაშე. ტომები დაიწერება მისი მოღვაწეობის შესახებ. არ არსებობს ადამიანი არც სოფელ ჭალაში და არც მის გარეთ, მის უანგარო თანადგომას რომ არ გრძნობდა. რამაზ სურმანიძის სახელის უკვდავსაყოფად ისიც საკმარისია, რომ მისი ხელწერაა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

**- საზოგადოებას, შუახევლებს მურმან ჭაღალიძის ამაგიც არ ავიწყდებათ, რაც „საპატიო შუახეველის“ წოდების მინიჭებით დაუფასდა. მისი ძმა თქვენი წინამორბედი იყო. როგორი მემკვიდრეობა გერგოთ?**

- ღირსეულს ღირსეული შეფასებაც ხვდა წილად. რაც შეეხება ჩემ წინამორბედ ალექსანდრე ჭაღალიძეს, მისი დირექტორად მუშაობის პერიოდში ვიყავი სასწავლო ნაწილის გამგე, მაგრამ ჩვენი ფუნქციები თითქმის გაერთიანებული იყო. გარკვეული წლების განმავლობაში სკოლის უნარიანი ხელმძღვანელის მუშაობა იქცა მაგალითად ჩემი შემდგომი საქმიანობისთვის. თუ რამე წარმატებას ვაღწევ, მადლობას ვუხდი ბატონ ალექსანდრე ჭაღალიძეს.



**- როგორც იტყვიან, თქვენს ზურგზე გადავიდა ჭალაში სკოლის ახალი შენობის, სპორტული მოედნის აგება. ამ ეტაპზე, რას აკეთებთ მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად?**

- ჭალაში სკოლის ახალი შენობის მშენებლობა რომ დაიწო, მაშინ სკოლის დირექტორი ალექსანდრე ჭაღალიძე, სოფლის ხელმძღვანელი კი ამჟამად სკოლის წარმატებული მასწავლებელი დიმიტრი ჭაღალიძე იყვნენ. თითქმის მათ ზურგზე გადავიდა მშენებლობის მთელი სიმძიმე. მათთან ერთად, როგორც სასწავლო ნაწილის გამგე, აქტიურად ვიყავი ჩართული სკოლის მშენებლობის საკითხებში. რადგან სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი, ჩემი მონდომების შედეგად აშენდა ღია სპორტული მოედანი. სისტემატურად ვზრუნავ, რომ მან შეინარჩუნოს ესთეტიკური სახე და მთლიანად დააკმაყოფილოს მოსწავლეთა მოთხოვნები. რაც შეეხება დანარჩენს - ამ ეტაპზე, სკოლისთვის საჭირო გახდა პანდუსისა და ორი ოთახის მიშენება. უახლოეს დღეებში დასრულდება კეთილმოწყობის სამუშაოები. პანდუსი დასრულებულია.

**- ნორმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თვალსაჩინოება მიზნობრივი სწავლა-აღზრდის წინაპირობაა. როგორია თქვენს სკოლაში მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების საქმე, კურსდამთავრებულთა შედეგები ერთიან ეროვნულ გამოცდებში?**

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ასევე მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების თვალსაზრისით ნორმალური ვითარებაა. სკოლის 17 მასწავლებლიდან 14-ის უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს, ერთს კი წამყვანისა. არ ვემდურით დარჩენილი ორი უსტატუსო მასწავლებლის მომზადებასა და მუშაობას. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, ყოველწლიურდ 50-60 პროცენტზე მეტი ირიცხება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. ეს, რა თქმა უნდა, მასწავლებელთა აქტიური მუშაობის შედეგია.

**- ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს ჭალის საჯარო სკოლაში მოქმედ „სამოქალაქო განათლების“ კლუბის საქმიანობას. რას გააკეთებთ მოსწავლეების თვალით დანახულ პრობლემებზე დროული რეაგირებისათვის?**

- გაზეთ „აჭარის“ მკითხველებთან ერთად, ის პრობლემები კარგად იცის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, კერძოდ, საკრებულომ და რესურსცენტრმა. საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე და შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე, სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ადგილზე გაეცნენ კლუბის მუშაობას, მოისმინეს მოსწავლეთა მიერ დანახული პრობლემები. მათი თანადგომით შევეცდებით, რაც შეიძლება მოკლე დროში მოგვარდეს ეს საკითხები. მადლობა ამ კლუბის დამაარსებელ მასწავლებელ ია ჯაყელს.

**- სოფელი, საზოგადოება სკოლის ღირსეულ ხელმძღვანელად, საუკეთესო მეოჯახედ გიცნობთ. შვილების, შვილიშვილების საქმიანობას როგორ აფასებთ?**

- მადლობა სოფელს, საზოგადოებას და ყველას, ვინც აფასებს ჩემი, როგორც სკოლის ხელმძღვანელის ღვაწლს, რაც შეეხება შვილების, შვილიშვილების საქმიანობას, ამ მხრივაც გამიმართლა. ყველა მათგანი საზოგადოების ღირსეული წევრია. სათანადო განათლებაც მიიღეს. საკუთარი ოჯახები ჰყავთ. სპეციალობის შესაბამისად არიან დასაქმებული. ამ დიდ საქმეში ლომის წილი მიუძღვის ჩემს მეუღლეს, ყოფილ პედაგოგს, ამჟამად საპენსიო ჯილდოზე გასულ ეთერ შარაშიძეს. სასიხარულოა ჩემთვის, რომ შვილები, შვილიშვილები ჩვენი ჩარევის გარეშე, სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებენ მინდობილ საქმიანობას.

**- სასკოლო რეფორმა, სწავლების თანამედროვე მეთოდები და ფორმები ყველას, მათ შორის, სკოლის ხელმძღვანელსაც ავალდებულებს, მუდმივ ძიებაში იყოს. ამ ასაკში ასეთ ბარიერებს როგორ უმკლავდებით?**

- უფალს - მადლობა, რომ ამ ასაკშიც მუდმივად ახლის ძიებაში ვარ, ვცდილობ, მთელი პასუხისმგებლობით ვუპასუხო სწავლების თანამედროვე მეთოდებს, მიდგომებს, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად სამშობლოს აღვუზარდო თაობა, რომელიც შეძლებს ღირსეულად ჩადგეს ქვეყნის სამსახურში, ამ დიდ საქმეში გვერდით მიდგას მთელი საზოგადოება და, რაც მთავარია, სკოლის პედაგოგები და მომსახურე პერსონალი.

**- ჭალელი შემოქმედების პატივსაცემად, წლევანდელი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან“ ერთი დღე სოფელ ჭალაში გამართულ შემოქმედებით საღამოს დაეთმო. რა კვალს ტოვებს ეს დღე ჭალელთა ცხოვრებაში?**

- ის მართლაც მნიშვნელოვანი იყო. დავიწყებას არ ეძლევა ღირსეული წარსული. რამაზ სურმანიძის, ნოდარ შარაშიძის გზას განაგრძობს რეზო ჭაღალიძე თავისი შემოქმედებით. ზოგჯერ წამბაძველობა წარმატების საწინდარია და ვგონებ, გაჩნდებიან სოფელში მათი ღირსეული კვალის გამგრძელებლებიც.

**- სპეციალობით მათემატიკოსს რომელი ქართველი მწერლის ნაწარმოებები გიზიდავთ?**

- პირველ რიგში, თუ რამე მათემატიკურს წავაწყდები, მას ვკითხულობ. მიყვარს ქართველი მწერლები. მათგან გამოვყოფ თერგდალეულებს. ბოლო დროს გამიტაცა ჭვანის ხეობელ შემოქმედთა დავით ქათამაძისა და ვახტანგ გოგრაჭაძის ლექსების კრებულებმა და რომანებმა.

**- ვინ აღმოაჩინა თქვენში მათემატიკური მეცნიერებისადმი ნიჭი?**

- პირველ რიგში, დაწყებითი კლასების მასწავლებელ დარეჯან ქურიძეს ვუმადლი, შემდეგ - მათემატიკის მასწავლებელ გალაქტიონ მჟავიას და ბათუმის სკოლა-ინტერნატის მე-9, მე-10 კლასების მათემატიკის მასწავლებლებს მარიკა ჩხაიძესა და გივი თოდრიას. მათი უშუალო დამსახურებაა ჩემი მათემატიკის მასწავლებლად ჩამოყალიბებაში. ამ ადამიანთა სახელები ჩემთვის უკვდავია.

**- აღსაზრდელთაგან ვის გამოარჩევთ, ვინც ცხოვრების სარბიელად ტექნიკური მეცნიერებები აირჩია და წარმატებული მეცნიერის ან ბიზნესმენის სახელითაა ცნობილი?**

- სოფელს ჰყავდა ბიზნესმენი, აწ განსვენებული სანდრო შარაშიძე, დიდი ქველმოქმედი. დღესაც ჰყავს არაერთი ბიზნესმენი. მათგან გამოვყოფ ჭალის სკოლაში აღზრდილ ნუგზარ ჭაღალიძეს, რომელიც ერუდიციით, განათლებით, კულტურითა და თავაზიანობით გამოირჩევა. სოფლის ყველა მცხოვრები კმაყოფილია მისი ქველმოქმედებით, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში გაწეული დახმარებით.

**- შვილებს, შვილიშვილებს ტექნიკური მეცნიერებები იზიდავდათ თუ ჰუმანიტარული?**

- უფრო მეტად ბაბუა-ბებიას ბაძავენ. მისასალმებელია მათი ტექნიკური მეცნიერებისადმი ლტოლვა, რაც ჩემთვის დიდი სიხარულია.

**- ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, გეოგრაფიული მდებარეობითა და მოსავლით ჭალა გამორჩეულია აჭარის მთიანეთში, თუმც მაინც ცარიელდება. მიზეზი?**

- სოფელში უფრო მეტად, სამუშაო ადგილებისა და გასართობი ღონისძიებების უკმარისობაა...

**- რა ბედი ელის აწ განსვენებული სანდრო შარაშიძის მიერ წამოწყებულ ეკლესიის მშენებლობას?**

- მშენებლობას უახლოეს პერიოდში დაასრულებენ ადგილობრივი ბიზნესმენები - აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ხვიჩა შარაშიძე, ქველმოქმედები გოჩა შარაშიძე, ლევან მჟავანაძე და ნუგზარ ჭაღალიძე. ეს, როგორც ჩემთვის ცნობილია, მათი ჩანაფიქრია.

**- არსებობს მოსაზრება, რომ სამლოცველოს ტერიტორიაზე, სადაც მშენებარე ეკლესია, საბავშვო ბაღი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი აშენდეს...**

- ეს სოფელში დაამაგრებს ახალგაზრდობას და შემცირდება მიგრაცია ქალაქისკენ.

**- ჭალა, წყაროთა და ახალდაბა ჭვანის ხეობის მოსაზღვრე სოფლებია. აქ ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალია. რა სარგებელს დატოვებს წყაროთის ზვარის უბანში „მომავლის სოფლის“ მშენებლობა?**

- პირველ რიგში, ჭვანის ხეობაში ეს იქნება ერთ-ერთი ტურისტული კერა, მოიზიდავს უცხოელ ტურისტებსაც, ტურიზმის განვითარება გააძლიერებს სოფლის ეკონომიკას, გაჩნდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის სამუშაო ადგილები, შემცირდება მიგრაცია, სოფელი სულს მოითქვამს. მადლობის ღირსია ამ ყველაფრის სულისჩამდგმელი, ადგილობრივი მკვიდრი, ბიზნესმენი და ქველმოქმედი ლევან მჟავანაძე.

**- ღვინიაშვილების უბნის მკვიდრს ადგილობრივი კულინარიის, ეთნოგრაფიის, თუნდაც ღვინის გასაცნობად ტურისტული ობიექტის მოწყობის ჩანაფიქრი თუ გაქვთ?**

- ეს ჩემი შვილებისა და შვილიშვილების, ასევე ჩემი დიდი სურვილიცაა. ურთიერთხელშეწყობით მინდა ჩანაფიქრი მალე განვახორციელოთ.

**- წლის ბოლომდე ბევრი აღარ რჩება. როგორი იყო ის თქვენთვის?**

- ეს წელი ჩემთვის ნამდვილად ბედნიერია, დაუვიწყარიც - ამ წელმა რაიონის ხელმძღვანელების ძალისხმევით მარგუნა დიდი პატივი - „საპატიო შუახეველის“ სტატუსი. რამდენიმე დღეში 2022 წელი ისტორიის საკუთრება გახდება, მაგრამ გვიტოვებს მშვიდობას, მომავლის რწმენას და ენერგიას, რომ ახალი წლიდან მეტი პასუხისმგებლობით გავაგრძელო მუშაობა.

# მარტოობის განცდა – ხანდაზმულთათვის მაღალი რისკფაქტორი

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

***გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) კვლევის „მარტოობა ხანდაზმულებში“ ანალიტიკური ანგარიშის პრეზენტაცია გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ინიციატივით გაიმართა***

კვლევის მიზანი საქართველოში მცხოვრებ ხანდაზმულებში მარტოობის განცდის შესწავლა, მარტოობის განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება იყო ხანდაზმულობის ასაკში ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ამ რისკფაქტორის შესამცირებლად.

კვლევის მიხედვით, ხანდაზმულები ემოციურ მარტოობას უფრო განიცდიან, ვიდრე სოციალურს - მათი უმრავლესობა (52%) თავს ემოციურად მეტ-ნაკლებად მარტოსულად მიიჩნევს, ანუ არ ჰყავთ გარშემო ისეთი ადამიანები, რომლებთანაც ექნებოდათ თანაზიარი და საერთო განცდები. მეორე მხრივ, სოციალურად მეტ-ნაკლებად მარტოსულთა მაჩვენებელი 45%-ს უტოლდება. ეს ადამიანები უჩივიან ისეთი სოციალური კავშირების/ქსელის არარსებობას, რომელიც შედგება ახლობლებისა და ნაცნობების წრისგან. ემოციურ მარტოობას უკიდურესად მძაფრად 28% გრძნობს, სოციალური მარტოობის შემთხვევაში მაჩვენებელი 16%-ია.

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელ ლელა ბაქრაძის განცხადებით, აუცილებელია ხანდაზმულებისთვის არსებობდეს ისეთი სოციალური სივრ-



ცეები, როგორებიცაა დღის ცენტრები და 60+ კლუბები.

„კვლევამ გვაჩვენა, რომ მარტოობა, რომელიც უკვე გლობალური პრობლემაა, მარტოობის განცდა ხანდაზმულების ჯანმრთელობისათვის წარმოადგენს საკმაოდ მაღალ რისკფაქტორს. ის სიკვდილიანობის ისეთივე რისკს ქმნის, როგორსაც, მაგალითად, თამბაქოს რეგულარული მოხმარება ან ჭარბწონიანობა. სამწუხაროდ, ეს რისკფაქტორი კარგად გაცნობიერებული არ არის და ძალიან მცირე ძალისხმევაა იქითკენ მიმართული, რომ იგი შემცირდეს. აღმოჩნდა, რომ ძალიან მაღალია ხანდაზმულებში ეს რისკფაქტორები, ემოციური მარტოობის შეგრძნება 52%-ში აღინიშნება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანებს აკლიათ გვერდით ისეთი კავშირები, რომელთა საშუალებითაც ისინი ინტერესებს გაიზიარებენ. აუცილებელია ხანდაზმულებისთვის არსებობდეს ისეთი სოციალური სივრცეები, როგორებიცაა დღის ცენტრები და 60+ კლუბები, სადაც ხანდაზმულ ადამიანებს შესაძლებლობა ექნებათ, დრო საინტერესოდ გაატარონ. მნიშვნელოვანია გვქონდეს ისეთი პოლიტიკა და სამოქმედო პროგრამა, რომელიც საზოგადოდ, ხანდაზმულების უფლებებისა და კეთილდღეობისაკენ იქნება მიმართული. კვლევის მიხედვით, საქართველოში, მარტოობის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის დომინირებს: სოციალური კავშირების ნაკლებობა, ფიზიკური მხარდაჭერის სიმწირე, სოციალური ნდობის ნაკლებობა და დედაქალაქში ცხოვრება“, - განაცხადა ბაქრაძემ.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ხელმძღვანელ იაგო კაჭკაჭიშვილის განმარტებით, კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ყოველი მეოთხე ხანდაზმული როგორც სოციალური, ასევე ემოციური მარტოობის განცდით იტანჯება.

„ხანდაზმულების მხარდამჭერთა ქსელი უნდა გაიზარდოს, იმ ადამიანების მექანიკური ზრდა არ უნდა იყოს, რომლებიც, უბრალოდ, აკითხავენ ხანდაზმულებს ან მათთან ფორმალურ ურთიერთობაში შედიან, არამედ ისეთი ქსელი უნდა შეიქმნას, სადაც ადამიანები ხანდაზმულებს უსმენენ და მათ შთაბეჭდილებებს უზიარებენ“, - განაცხადა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

ცნობისთვის: კვლევა ჩატარდა UNFP-ის საქართველოს ოფისის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის და ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის (UCL) ბიოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ბიომეცნიერებათა განყოფილების მხარდაჭერით, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ.

# წიგნის გზამკვლევი, ქომაგი, მწერალი...

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



*ეს სახელდება სწორედ რომ შეეფერება ბელა უჩაძეს - გამორჩეულ ბიბლიოთეკარს, რომლის საინტერესო სამყაროში სამოგზაუროდ ვეპატიჟებით ჩვენს მკითხველს. თუნდაც მხოლოდ მისი ეს ორი ლექსი: „მოთხრობა მარტოხელა ბიბლიოთეკარზე“ და „წასვლის რომანსი“ რომ წაიკითხო, იგრძნობ, რომ განსაკუთრებულ პოეტურ სამყაროში მოხვდი, სადაც სული უსამანო თავისუფლებასა და სილამაზეს ერწყმის და განბრძობილი ხდები, რადგან დაგიუნჯებია მთელი დედამიწისეული სიბრძნე და ახლა კოსმიურს ეზიარები*

*დიახ, უნათლესია ამ პოეტი ქალბატონის სულიერი სამყარო, რომელშიც წიგნს, როგორც სულიერების უშრეტ წყაროს, საკრალური ფუნქცია დაკისრებია - იგი ხომ წლებია, წიგნის თავშესაფრის წინამძღოლია და, როგორც რჩეულთა შორის რჩეული ბიბლიოთეკარი, ნოვაციებით წარმართავს მკითხველებთან ურთიერთობას. სწორედ ასეთი ადამიანების დამსახურებაა, რომ წიგნს დღესაც უნარჩუნდება დიდი მისია - იყოს ერის კულტურისა და სულიერების განმსაზღვრელი. მაშ, ასე, ჩვენი სტუმარია* ***ბელა უჩაძე.***

**- წიგნის გზამკვლევი, ქომაგი, მწერალი - ეს სამება ბელა უჩაძის ცხოვრების არსია და დანიშნულებაო - ამბობენ...**

- „წიგნის გზამკვლევი, ქომაგი, მწერალი“ - ძალიან აღმატებული ეპითეტებია, არა ღირს ვარ! ისე, წიგნის ნიშნით, იკონით ვვარსებობ, წიგნის თავშესაფრის მუდმივი ბინადარი ვარ, ჩემს ახლობლებს და ყველას, ვისაც რაიმე უჭირს, ამ თავშესაფარში ვეპატიჟები. ყოველ საწუხარს, ტკივილს უმკლავდება წიგნი და ყველაფერს უანგაროდ გვაძლევს, არსებითად, იმ ყველაფერს გვაძლევს თავიდან, რაც ღმერთმა ერთხელ უკვე გვიბოძა.

**- ერის სულიერი ამაღლება ბიბლიოთეკიდან იწყება - ამ პოსტულატს, ჩვენს საუკუნეში, როგორ ფიქრობთ, უნარჩუნდება მნიშვნელობა?**

- უეჭველად! წიგნი, როგორც სისხლის კოდი... და კიდევ უფრო მეტად - იდენტობას ინახავს, გვაქვს „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, ხალხური ეპოსი და ბევრი, ბევრი დიდი წიგნი. ბუნებრივია, ბიბლიოთეკა ინახავს წიგნს, ისტორიას, ტრადიციას, რაც ეროვნულობის, სულიერების უპირველესი განმსაზღვრელია.

**- ბიბლიოთეკა, რომლის გამგეც თქვენ ხართ, კრეატიული ღონისძიებებით გამოირჩევა: სხვადასხვაგვარი კონკურსებით, შეხვედრებით...**

- ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის №13 საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალი სამოცი წელია, მკითხველს ემსახურება. ეს მომსახურება არც ისეთი რუტინაა, როგორც შეიძლება მოგეჩვენოთ, იგი შემოქმედებითი პროცესია, ადამიანების გაცნობა, მათი ფსიქოტიპების დადგენა, ლიტერატურის ერთობლივი შერჩევა, წიგნისმიერი ნათესაობის დაფუძნება-აშენება, სიცარიელიდან ახალ-ახალი კოსმოსების დაბადება... იყო ბიბლიოთეკარი, ნიშნავს, იყო დემიურგი, თუნდაც მცირე მასშტაბით, მაგრამ მთელი სისავსით. მკითხველს სხვადასხვა ღონისძიებითაც ვანებივრებთ, ხშირად ერთობლივად ვაკეთებთ, ვგეგმავთ და ვახორციელებთ მცირე პროექტებს...

**- ქორწილი ბიბლიოთეკაში - წელს რჩეული მკითხველების დაწყვილება და ბედნიერება აღნიშნეთ. ეს როგორ მოხდა?**

- ცნება მკითხველი, ზოგადად, ყოვლისმომცველია, ჩვენთვის, რაც დრო გადის, კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს და მკითხველები, განსაკუთრებით, ახალგაზრდები, ჩვენი მეგობრები და, რაღაცნაირად, ფართო და წიგნისმიერი გაგებით, ბიბლიოთეკარები ხდებიან. ჩვენი ურთიერთობა მტკიცე და ღრმაა, გაცილებით ღრმა, ვიდრე შეიძლება გარედან ჩანდეს, წიგნის ნიშანი გვაერთიანებს და გავიმეორებ - წიგნისმიერი ნათესაობაც. მკითხველებს ნათელმირონობითაც დავკავშირებივართ... ქეთის და ნიკას ქორწილიც მკითხველის და ბიბლიოთეკის ურთიერთობის გაღრმავების დასტურია. მათ ბიბლიოთეკის კედლებში შეუყვარდათ ერთმანეთი. ამ სიყვარულის მოწმე იყო „კაცობრიობის საუნჯე“... ყველაფერი ლამაზი ქორწილით დაგვირგვინდა, ახლა პაწაწინა გოგონა ჰყავთ და ორმოცი დღის რომ გახდება, იმედია, ისიც გვეწვევა ბიბლიოთეკაში.

**- როგორც ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ჟურნალ „თეთრი ხიდის“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი, რას ეტყოდით მკითხველს?**

- „თეთრი ხიდის“ რედკოლეგიის წევრი ვარ. ამ ჟურნალის ნამდვილი სულისჩამდგმელები არიან ჩემი მეგობრები: თვალსაჩინო მწერალი იოსებ იარღანაშვილი და რიტა წაქაძე (საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში). ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გამოდის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი. მკითხველს თამამად შემიძლია ვუთხრა: ლიტერატურის გურმანებო, იკითხეთ ეს გამოცემა, აქ ვერცერთ უნიჭო და ერზაცულ ოპუსს ვერ ნახავთ. საუკეთესო ქართული ლიტერატურული ტრადიციებით ნასაზრდოებ, თანამედროვეობის საუკეთესო სიახლეებს, ქართულ და ქართულად ნათარგმანებ ლიტერატურას შემოგთავაზებენ.

**- ახლა კი თქვენს ლექსზე „მოთხრობა მარტოხელა ბიბლიოთეკარზე“ ვისაუბროთ. მრავლისმეტყველია ფორმითაც და შინაარსითაც... „დათრთვილულ წიგნებს ვეძებდი როგორც ახალ მიწებს, წყალსა და საზრდოს“... ამ ძიებას ახლაც აგრძელებთ?**

- ადამიანი სულ ეძებს: ზოგი - წიგნს, ზოგი - დიდებას, ზოგი - კიდევ რას... ასე გაგრძელდება, ალბათ, ვიდრე ცოცხალი ხარ. იმიტომ არ ეძებ, რომ რამე გასაოცარი აღმოაჩინო და რამე ცვლილებას ან დიადს მისცე დასაბამი, უბრალოდ, ეძებ... იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეგიძლია, სხვა არაფერი იცი... ეძებ და ვერ პოულობ, იქნებ იმიტომ, რომ არ იცი, რას ეძებ... ხანდახან პოულობ კიდეც.

**- ერთმა კოლეგამ, როცა თქვენი ლექსი „წასვლის რომანსი“ წაიკითხა, კოსმიური ცნობიერების ადეპტი გიწოდათ... მრჩება შთაბეჭდილება, რომ გალაქტიკების სუნთქვა გესმით... და მაინც, როგორც თავად ამბობთ, „ჩვენი სულების უვრცეს ოკეანეებს რას დაიტევენ ამ სიტყვების ნაკადულები?!“ - პროზაულადაც რომ თქვათ, სიამოვნებით მოგისმენთ.**

- დიახ, ის თავად გახლავთ კოსმიური ვიზიონების პოეტი. პოეზიაც კოსმოსს - წესრიგს გულისხმობს, ქაოსსაც, ქაოსს და კოსმოსს, მათ სინთეზს და განცალკავებას. პოეზია ხომ ცაში ყურებით დაიწყო, ჩვენი ხილვებიც ხომ წარსულ ცხოვრებაზე გვიყვებიან, როცა ყველაფერი ვიცოდით, ახლა იმ ცოდნის ნაკუწებს ველარ ვაგროვებთ... ჩვენი სულების ამბების გადმოტანა მიწიერ სიტყვებში ვერ ხერხდება, ვერ ეტევა მათში. ბუნებრივია, კარგი მესიტყვე ამას სხვაზე უკეთესად ასრულებს, მაგრამ მაინც... „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში...“ ღმერთის სიტყვებია, უფრო კარგად ვერავინ იტყოდა, მაგრამ გალაკტიონს, მჯერა, უნდოდა კიდევ უფრო „კარგად“ ეთქვა.

**- „ბიბლიოთეკარის ხელწერა“ - ალიგრაფიის ამ კონკურსზე თავადაც მონაწილეობდით, მინდა გკითხოთ, რას ემსახურებოდა და რა გაცხადდა?**

- ქართველი ერის წიგნიერება კალიგრაფობის ტრადიციაშიც ჩანს. ძველი, ქართული კეთილი ტრადიცია, იმდროინდელი, როცა ჯერ კიდევ გუტენბერგის გალაქტიკა არ არსებობდა. აკი ჩვენმა წინაპრებმა საოცარი სილამაზის ხელნაწერები დაგვიტოვეს - ფორმით, სილამაზით უნიკალური ქართული ანბანით. რა დაგვავიწყებს, რომ ქართველი ქალის უპირველესი მზითვი მისივე ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ გახლდათ. პროგრესს ვერ შეაჩერებ - ბეჭდვამ და შემდეგ ტოტალურად გავრცელებულმა ელექტრონულმა სერვისებმა მოგვწყვიტეს ქაღალდ-საწერკალამთან ურთიერთობას. ბიბლიოთეკარის პროფესია კარგ კალიგრაფობასაც გულისხმობს, თიხის წიგნებიდან მოყოლებული, სკრიპტორიუმების ჩათვლით, ბიბლიოთეკარები და მხატვრები იყვნენ მუდამ გადამწერები. ყველა ბიბლიოთეკარი კალიგრაფი იყო მეტ-ნაკლებად, რადგან მას უნდა ეწერა საკატალოგო (ბარათები და სხვა საბიბლიოთეკო დოკუმენტები) მკაფიო, გასაგები, ლამაზი, მრგვალი ასოებით. კალიგრაფიის კონკურსი ყველგან შეიძლება გაიმართოს, კი, ბატონო, ბიბლიოთეკაში - უპირველესად. კონკურსის ორგანიზატორი ახალგაზრდა გოგონაა, ელექტრონული სერვისების, კლავიატურის თაობის წარმომადგენელი. ეს ნიშნავს, რომ ტრადიციას არც ამ ასწლეულში ემუქრება გადაშენება.

**- თქვენი მეგობრები არიან თქვენი სულიერების ნათესავები, ხომ? და ვინ არიან ისინი?**

- მეგობრები სულიერი ნათესავები არიან! სულიერი ნათესაობა ჩვენს შემთხვევაში არც ტროპია და არც პოეტური აბსტრაქცია, სინამდვილეა, დროში გამოცდილი და უეჭველი. საერთოდ, ოჯახი და მეგობრები ჩემთვის უმთავრესია. ჩემი მეგობრები გენიოსები და უკეთილშობილესი ადამიანები არიან. შეიძლება ამიტომ არის ჩემთვის ამქვეყნიური პრობლემები არამცთუ ასატანი, არამედ შეუმჩნეველიც კი. პათეტიკურად გამომდის, მაგრამ ასეა: ჩვენ იდეალისტები ვართ, ყველაფერი გვაერთიანებს, სიყვარული სამშობლოს, წიგნის, ლიტერატურის, ხელოვნების, პასუხგაუცემელი კითხვები და დაუსრულებელი ძიებები - არსებობის ერთადერთი ფორმა. ყველაფერი გვაერთიანებს - სიცოცხლის სიყვარული, ნელი ტრაგიზმი, იუმორი... ყველაფერი, რითაც ყოფნის ულმობლობას ვებრძვით და დედამიწის მიზიდულობას ვუმკლავდებით.

**- „მადლობა, ჩემო ახდენილო ოცნებავ!..“ - ქალიშვილისადმი მიძღვნილი ეს სიტყვები თქვენს ოჯახურ სარკეში ჩასახედად გვიწვევს...**

- ოჯახი ჩემი ბედნიერების უშრეტი წყაროა, ჩემი მცირე კოსმოსი, უფლის წყალობა. მე და ჩემმა მეუღლემ 28 წლის წინათ შევქმენით ოჯახი, ორი შვილი გვყავს, ზრდასრულები. არცერთი არაა დაქორწინებული, არადა, ბებიობა დამიგვიანდა და ეს მაშფოთებს. შვილებზე რა უნდა ვთქვა? შვილი შვილია! წმიდათაწმიდაა! განა შეიძლება შვილების ქება საჯაროდ? მათი გაკრიტიკებაც არაბუნებრივია. შვილი ხომ ისაა, რასაც ღმერთი თავის წილად გატანს, როცა ყოფნის უდაბნოში გიშვებს. სიამაყე მომაკვდინებელი ცოდვაა და არ ვამაყობ - უფლის მადლიერი ვარ, რომ ასეთი მეუღლე და შვილები მყავს, ყოველთვის მათ ჩრდილქვეშ და მათი მზრუნველობით ვცხოვრობდი და ვცხოვრობ.

**- ისეთი დიდი ტრადიციებისა და წარსულის ქალაქში ცხოვრება, როგორიც ქუთაისია, ალბათ, ძალიან საინტერესოა. თქვენი თვალით გაგვატარეთ ქუთაისში...**

- ქუთაისი მზის ქალაქია, დედამიწაზე - ერთ-ერთი უძველესი. სამი ათასი და მეტი ხნის წინათ „აქ იყო საქართველო, სახელად კოლხეთი“, აქედან იწყება დედამიწის ბავშვობის ხანაც, იმ დროინდელი მხოლოდ ფაზისია და მის ნაპირზე დაყრილი თეთრი ქვები, მაინც ყველა ქუთაისელის თვალებში დაინახავთ ძველ კოლხს. ქუთაისში ცხოვრება საამაყოცაა და სევდის მომგვრელიც. ქუთაისი არაა ის სახასიათო ქალაქი, როგორსაც ქართულ სატელევიზიო შოუებში წარმოაჩენ, არც ქუთაისელები არიან ზედაპირული, მხოლოდ იუმორით ცნობილი ადამიანები, რომლებსაც იმავე ტელევიზიების ეკრანებიდან დაინახავთ. ქუთაისი კულტურის, ხელოვნების ქალაქი იყო და არის, ორჯერ გადაუსხა სისხლი თბილისს წინა საუკუნეში, მისცა ის ინტელიგენცია, იმ მოღვაწეების ძირითადი ბირთვი, რომლებმაც გამართეს ქართული კულტურა, ლიტერატურა, სააზროვნო სივრცე. ქუთაისის სიმდიდრეა ინტელიგენცია, ინტელექტუალები, უნიჭიერესი ახალგაზრდები... სიამოვნებით ვიქნები თქვენი მეგზური ქუთაისში... და არა მხოლოდ წარმოსახვით. სანახავი ბევრი რამაა: ბაგრატის ტაძარი - საქართველოს ერთიანობის სიმბოლო, ოქროს ჩარდახი, ჩვენი განთქმული თეთრი ხიდი, ჯაჭვის ხიდი, წითელი ხიდი, რუსთაველის ხიდი, ამ ხიდების კომპოზიციაში მოქცეული რიონი და მეფეთა უბანი, ჩვენი მუზეუმები და სახლ-მუზეუმები, სახვითი ხელოვნების გალერეა, საჯარო ბიბლიოთეკა, წელს რომ 160 წლის ხდება... გელათი, მოწამეთა, გეგუთი...

**- როცა ბათუმს სტუმრობთ, რა გიზიდავთ აქ, რა მოგწონთ და რა - არა? თქვენ და ბათუმელები... ახლა მათ პირისპირ დგახართ და რას ეტყვით?**

- ბათუმი ჩემი დიდი სიყვარულია. მარტო ზღვა, ლაჟვარდი ცა და მზის დისკოზე გაფრენილი თეთრი თოლია არ არის ბათუმი. გუშინ ვიყავი ამ ულამაზეს ქალაქში, ცოტა შემაშფოთა განაშენიანების სისწრაფემ და ქაოსურობამ, მაგრამ ეს ალბათ დროის ნიშანია, გადაივლის და ქალაქის ინდივიდუალურობას ბევრს ვერას დააკლებს. ბათუმი ის ადგილია, სადაც დღეცისმარე ფრონტია გახსნილი, ბრძოლაა, ღია ჭრილობების მოშუშება და ისევ გახსნაა. ყველაზე მეტად რაც მიყვარს და მაიმედებს, ადამიანები არიან, ის მოღვაწეები, რომლებიც წერენ ისტორიას, კულტურას, ხელოვნებას ქმნიან... დიდი პასუხისმგებლობით, ძალისხმევით, თავდადებით, ნაფიქრ-ნაღვაწს, უპირველესად, საქვეყნო, ეროვნულ პრიზმაში ატარებენ, ინდივიდუალიზმისა და პერსონალური გადახვევების, საკუთარი თავის გამოხატვის გარდა, მხატვრული სიტყვის ძალმოსილებისა და სილამაზის გარდა, საუკუნეებით ნაგროვები და დღევანდელი ტკივილების გადმოთარგმნა იტვირთეს, თავდადება და მსხვერპლი სჭირდება ამ საღმრთო და საერო საქმეს. მათი ნათქვამი სიტყვა სხვა, აღმატებითი მნიშვნელობისაა. ყველაზე მეტად სწორედ ეს ადამიანები, ეს მოღვაწეები მიყვარს, მათ ვეთაყვანები, ისინი ჩემთვის გმირობის მაგალითები არიან. მიყვარს „აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვა“, ჟრუანტელის მომგვრელი აჭარული დიალექტი. მიყვარს და მეიმედება ქართული ლიტერატურის ეს მძლავრი ფრთა... განსაკუთრებით, ქართველი მწერალი ქალები: გენრიეტა ქუთათელაძე, ბელა ქებურია, მზია სალვარიძე, შორენა დოლიძე, ქალთამზე ანა სურმანიძე.

*„ბათუმი ის ადგილია, სადაც დღეცისმარე ფრონტია გახსნილი, ბრძოლაა, ღია ჭრილობების მოშუშება და ისევ გახსნაა. ყველაზე მეტად რაც მიყვარს და მაიმედებს, ადამიანები არიან, ის მოღვაწეები, რომლებიც წერენ ისტორიას, კულტურას, ხელოვნებას ქმნიან... დიდი პასუხისმგებლობით, ძალისხმევით, თავდადებით, ნაფიქრ-ნაღვაწს, უპირველესად, საქვეყნო, ეროვნულ პრიზმაში ატარებენ, ინდივიდუალიზმისა და პერსონალური გადახვევების, საკუთარი თავის გამოხატვის გარდა, მხატვრული სიტყვის ძალმოსილებისა და სილამაზის გარდა, საუკუნეებით ნაგროვები და დღევანდელი ტკივილების გადმოთარგმნა იტვირთეს*

# სოფლის სახეცვლილებებს ძირძველ მრწამსთან დაბრუნების პროცესები რომ ერწყმის, ესაა დასანახი და წარმოსაჩენი»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14



***90 წელი შეუსრულდა დაბადებიდან მიხეილ ზოიძეს. იგი 18 წლის იყო, როცა მშობლიურ სოფელ მაწყვალთის ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობა დაიწყო. შუახევის რაიონი ხულოს რომ გამოეყო, მაშინ ოლადაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი გახლდათ. 1951 წლიდან მოყოლებული, შუახევის ყველა ისტორიული მოვლენა კარგად ახსოვს***

- მაშინ ახლანდელი შუახევის რაიონის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი - უჩამბის საშუალო სკოლა იყო. შუბნის, ოლადაურის სასოფლო საბჭოების მკვიდრნი საშუალო განათლებას ხიხაძირის საშუალო სკოლაში ვიღებდით. ჩემთან ერთად სწავლობდნენ დარჩიძეებელი თამაზ ბერიძე და ნოდარ ცეცხლაძე. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის (ქ. სოხუმი) ინსტიტუტი დავამთავრე.

**- თუ გაიხსენებთ შუახევის რაიონის დაარსების პერიოდს?**

- ჯერ კიდევ 1939 წელს გაჩნდა აზრი შუახევის ცალკე რაიონად გამოყოფის შესახებ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა, ომისშემდგომმა პერიოდმა ეს აზრი 13 წლით გადაავადა. მხოლოდ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 13 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე ახალი ადმინისტრაციული ერთეული გაჩნდა საქართველოს რუკაზე - შუახევის რაიონის სახელით. მაშინ ახლანდელი ადმინისტრაციული შენობა შენდებოდა. ხელმძღვანელობა რუსთაველის ქუჩაზე არსებულ აფთიაქის შენობაში იმყოფებოდა. 21 დეკემბერს ამ შენობაზე სახელმწიფო დროშის აღმართვას სახელდახელო მიტინგი მიეძღვნა. აჭარის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გიორგი ცინცაბაძემ შუახეველებს რაიონის დაარსება მოგვილოცა. იმავე დღეს აირჩიეს რაიონის პირველი პირები. შუახევის რაიკომის პირველი მდივანი ლევან უკლება გახდა, აღმასკომის თავმჯდომარე - შალვა დევაძე. ახალგაზრდების წინამძღოლობა ნენიელ დიმიტრი მიქელაძეს დაეკისრა. რაიონის ხელმძღვანელ სტრუქტურებში გამოჩნდნენ შემდგომში ცნობილი ადამიანები ვახტანგ წულუკიძე, ვახტანგ ზოიძე, ვახტანგ მაკარაძე, გივი თავამაიშვილი, შოთა კეკელიძე, გიორგი ფირცხალაიშვილი, ვლადიმერ გელავა. შენდებოდა და მშვენდებოდა რაიონული ცენტრი. ადმინისტრაციული შენობის დასრულების შემდეგ კულტურის სახლი აშენდა. იგი 1961 წელს შევიდა ექსპლუატაციაში. ახლა ამ შენობის რესტავრაცია მიმდინარეობს. რაიონის ცენტრის კეთილმოწყობა-გამწვანებაში დიდი წვლილი შეიტანეს ოლადაურელმა ალექსანდრე მაკარაძემ, სხეფელმა ივანე დავითაძემ, ადგილობრივმა პირველმა პირმა სოლომონ მაკარაძემ, სიმონ ბერიძემ, წინა საუკუნის 60-70-იან წლებში - მიხეილ ხოზრევანიძემ, ნოდარ ცეცხლაძემ, მურმან ჭაღალიძემ.

**- იმ წლებს როგორ გაიხსენებთ, როცა ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ გატარებულმა რეფორმებმა სამი წლით ისევ გააუქმა შუახევის რაიონი?**

- იმ წლებში პარტიის ხულოს რაიკომის ინსტრუქტორ-პარტორგანიზატორი ვიყავი და ყველა მოვლენა კარგად მახსოვს. რაიონის ადმინისტრაციული შენობა საავადმყოფოდ გადააკეთეს. სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას სათანადო ყურადღება აღარ ექცეოდა. დაბაში არსებულ შენობა-ნაგებობებს განადგურება ემუქრებოდა. თანდათან ჩაკვდა ის ენთუზიაზმი და შემართება, რაც შუახევის რაიონის არსებობის პირველ ათწლეულში იყო. 1965 წლის 5 ნოემბერს შუახეველებმა კვლავ ვიზეიმეთ რაიონის ხელმეორედ დაფუძნება.

**- იმ მოვლენების მომსწრენი იმასაც ამბობენ, რომ ხულო-შუახევ-ქედის რაიონების ბაზაზე მხოლოდ ერთი - შუახევის რაიონი უნდა დარჩენილიყო.**

- რაიონების გამსხვილების საწყის ეტაპზე ასეთი იდეა მართლაც წამოვიდა, მაგრამ გადაწყვეტილება ერთ თვეში შეიცვალა.

**- რაიონის ხელმეორედ დაფუძნების შემდეგ სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობა გერგოთ. ტრადიციული დარგის განვითარება როგორ მიდიოდა?**

- მხოლოდ ოლადაურისა და გოგაძეების კოლმეურნეობებში არ რჩებოდნენ კოლმეურნეები დებიტორული დავალიანებით, სხვა 41 კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობა ჩამორჩებოდა. არ სრულდებოდა წამყვანი დარგების წარმოებისა და სახელმწიფოზე მიყიდვის დავალებები. მაშინ გამოჩნდა რაიონის ხელმძღვანელის მიხეილ ხოზრევანიძის ორგანიზატორული უნარი და მიზანმიმართული საქმიანობა. ამას დაემატა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი პირველი პირის ვახტანგ პაპუნიძის ინიციატივა - კერძო სექტორში თამბაქოს გაშენების თაობაზე. მოსახლეობაში ჯერ იმედი, შემდეგ ფული გაჩნდა. წინა საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი და 80-იანი წლები დიდი სოციალურ-კულტურული შემობრუნების პერიოდი იყო. სოფლებში საცხოვრებელი სახლები შენდებოდა, მსუბუქი ავტომანქანების, ავეჯისა და სხვა ძვირად ღირებული საქონლის შეძენაზე რიგები წესდებოდა. არ მინდა იმ კომუნისტური ეპოქის მქადაგებლის როლში გამოვიდე, მაგრამ სიმართლეც უნდა ითქვას.

**- წლების განმავლობაში შუახევის რაიონულ სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ინიშნებოდით.**

- მამაჩემი ალალი, სოფლის მოამაგე და მშრომელი კაცი გახლდათ. მისი არეალი მარჩენალი მიწა, სახლი და ეზო-კარი იყო. არცერთ თანამდებობაზე ჩაწყობით არ მიმუშავია. ბიბლიოთეკარობიდან დაწყებული, შუახევის რაიონის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარეობით დამთავრებული, ყველაფერი განათლების, უნარიანი შრომის, მოსახლეობასთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, მათზე ზრუნვის ფასად მოვიპოვე. ჩემი საქმისა და სამსახურებრივი კარიერის გამო ცხოვრებაში არავინ შემიწუხებია. მერგებოდა და მაწინაურებდნენ, ვიცოდი და მწვანე შუქს მინთებდნენ.

**- პენსიაზე გასვლამდე პუბლიცისტიკას მოჰკიდეთ ხელი, მნიშვნელოვანს რას ტოვებთ?**

- ცნობილ ჟურნალისტს, შემდგომში ქედის რაიონის პირველ პირს არჩილ თავდგირიძესა და მე ერთმა სოფელმა ცხოვრების სარბიელზე გამოსვლა ერთნაირად დაგვილოცა. ხელმეორედ შუახევის რაიონი რომ აღდგა, ის რაიონულ გაზეთ «დროშაში» სამუშაოდ მოიწვიეს, მე სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ დამნიშნეს. ორივე წიგნის «ჩვენი სოფელი» ავტორები ვართ. ამ წიგნში მშობლიური მაწყვალთის ყოფაზე, მის წარსულისა და აწმყოზეა მოთხრობილი. წარმოვაჩინეთ სოფლის ინტელიგენციის როლი. ზაურ ფუტკარაძემ, მერაბ და მალხაზ თავდგირიძეებმა ფინანსური თანადგომით მოკრძალებული წვლილი გაიღეს ამ წიგნის გამოცემაში. შუახევის რაიონის დაფუძნების 55 წლისთავს მიუძღვნით ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევების წიგნი «შუახევი». სარედაქციო კომისიასთან ერთად მე მერგო პატივი რამდენიმე სტატიაზე მემუშავა. უშუალოდ ჩემი დაწერილია ქვეთავი «შუახეველები საკანონმდებლო ორგანოში». ერთობლივად ვიმუშავეთ ქვეთავებზე «საქმიანი ადამიანები» და «რაიონის ფარგლებს გარეთ სახელმწიფო თანამდებობებზე სხვადასხვა დროს მოღვაწე შუახეველები». ჟურნალისტ გივი თურმანიძესა და სხვებთან ერთად დავაარსეთ გამომცემლობა «მარეთი-93». ბოლო დროს ჯანმრთელობის გაუარესების გამო გამომცემლობას გამოვემშვიდობე.

> ***„ცნობილ ჟურნალისტს, შემდგომში ქედის რაიონის პირველ პირს არჩილ თავდგირიძესა და მე ერთმა სოფელმა ცხოვრების სარბიელზე გამოსვლა ერთნაირად დაგვილოცა. ხელმეორედ შუახევის რაიონი რომ აღდგა, ის რაიონულ გაზეთ «დროშაში» სამუშაოდ მოიწვიეს, მე სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ დამნიშნეს. ორივე წიგნის «ჩვენი სოფელი» ავტორები ვართ. ამ წიგნში მშობლიური მაწყვალთის ყოფაზე, მის წარსულისა და აწმყოზეა მოთხრობილი. წარმოვაჩინეთ სოფლის ინტელიგენციის როლი***

**- შუახეველები გაწეულ ამაგს თუ გიფასებენ?**

- მეტნაკლებად. მოველოდი, რომ დაბადებიდან 90 წლის იუბილეს გარკვეული აღიარებით მომილოცავდნენ, მაგრამ... ძალზე ცუდია, რომ წინა თაობების ამაგს და შრომას ზოგიერთები უგულებელყოფენ.

**- სამსახურს, აღიარების სურვილს თითოეული ადამიანის ცხოვრებაში დიდი ადგილიც უჭირავს, მაგრამ, უმთავრესი მაინს ოჯახია, არა?**

- ორი შვილი გავზარდე. მერი წლების განმავლობაში ჯანმრთელობის დაცვის მუშაკი იყო, ახლა პენსიაზეა. ჯემალი სპეციალობით პედაგოგია. იგი ამჟამად მაწყვალთის საჯარო სკოლას უდგას სათავეში. საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, სიყვარულსა და პატოსნებაზე დაფუძნებული ოჯახი აქვთ შვილიშვილებს. წარმატებული სტუდენტები, წარჩინებული მოსწავლეები არიან შვილთაშვილები. უფალს ვევედრები, რომ შვილთაშვილების შვილებსაც მომასწროს.

**- მშობლიურ შუახევთან, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობები გახარებთ და სიმხნევეს გმატებთ. ახლანდელ ვითარებას როგორ აფასებთ?**

- ნოემბრის ბოლოს გამართული სახალხო ზეიმი «შუახევობა» დასტური იყო იმ აღმშენებლობითი პროცესებისა, რაც ამ ეტაპზე შუახევში მიმდინარეობს. თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი ფეხბურთის სტადიონი თაობების ოცნება იყო. ჩვენ დროს მხოლოდ მდინარე აჭარისწყლის კალაპოტი მივუჩინეთ, საყრდენი კედელი ამოვიყვანეთ და სტადიონი კეთილმოწყობილად ჩავთვალეთ. შემდეგ ზოგიერთებმა იგი ბოსტნებად აქციეს. ორი მილიონი ლარის გამოყოფა მისი კეთილმოწყობისთვის თითოეული შუახეველისადმი თანადგომის ტოლფასია. აღარაფერს ვამბობ საყრდენი კედლების კეთილმოწყობაზე, კულტურის სახლის შენობის რეკონსტრუქციაზე, სკვერების მოწყობაზე. ისიც გავიგე, რომ მალე სამსართულიანი შენობის აგებას აპირებენ, სადაც ეთნოგრაფიული მუზეუმი დაიდებს ბინას. მე შუახევის ცენტრი მოშიშვლებულ ტერიტორიად მახსოვს, სადაც ოთხი საცხოვრებელი სახლი იდგა. ხიხაძირის საშუალო სკოლაში საშუალო განათლებას რომ ვიღებდი, ზამთრობით შუახევის ცენტრზე გავლით ხიხაძირში ქვეითად მივდიოდით. ახლა ამ გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარია დაგებული. 2023 წლის მარტში ხიხაძირში, ქართული სკოლის აღდგენის 100 წლისთავი სრულდება. ჯანმრთელობამ თუ ხელი შემიწყო, ამ იუბილეს დავესწრები.

**- წიგნი «ჩვენი სოფელი» 2012 წელსაა გამოცემული. მას შემდეგ სოფელ მაწყვალთაში მოსახლეობის სასიკეთოდ ბევრი რამ შეიცვალა. ამ ცვლილებებს როგორ შეაფასებთ?**

- წიგნში არსადაა ნახსენები სამზიარის სერსა და სოფლის ცენტრში აღმართული ჯვრები. მე ის დრო მახსენდება, როცა მაწყვალთის 8-წლიანი სკოლის დირექტორი ტარიელ მაკარაძე იმის გამო დაითხოვეს თანამდებობიდან, რომ მამამისს - დურსუნ მაკარაძეს ბათუმის მეჩეთში ნამაზის შესრულებაზე წაასწრეს, ამჟამად მისმა შვილიშვილმა ოლეგ მაკარაძემ ითავა სამზიარის სერზე ჯვრის აღმართვა. ღვთისმსახურების რიტუალი ჩემმა ახლობელმა, მეზობელ სოფელ მახალაკიძეების მკვიდრმა დეკანოზმა გიორგიმ (ფუტკარაძე) ჩაატარა. ჩემი ასაკის ადამიანს ისიც მახსოვს, რომ ადამიანები ჯამეში ლოცულობდნენ და ისიც, რომ გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში ინათლებიან, ჯვარს იწერენ. ჩემი აზრით, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებს ძირძველ მრწამსთან დაბრუნების პროცესები რომ ერწყმის, ესაა დასანახი და წარმოსაჩენი. სოფელში მოასფალტებული გზით რომ მივდივარ, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სკოლის შენობა, კეთილმოწყობილი ცენტრი მხვდება და ესეც სოფლის სახეცვლილებაა, აქაურების კეთილდღეობაზე ზრუნვის დასტურია.

**- ასეთ ვითარებაში მაწყვალთა მაინც ცარიელდება?**

- ეს ბუნებრივი და შეუქცევადი პროცესია. მე ის წლებიც მახსოვს, როცა ბათუმის №5 სამშენებლო ტრესტში სოფლებიდან მუშახელს ითხოვდნენ და მსურველი ძალიან ცოტა იყო. ახლა მუშახელი სამუშაოს ძიებაშია. ის პროცესები, რომლებიც ჩვენთან ახლა მიმდინარეობს, საფრანგეთში, იტალიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში საუკუნის წინათ დასრულდა. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი დაკვირვების საფუძველზე ვაცხადებ, რომ აჭარის მთიანეთის სოფლებში მალე უცხოეთის მსგავსად ფერმერული მეურნეობები გვექნება და სოფლის მომავალიც მასზე იქნება დამოკიდებული. მოდის თაობა, რომელიც ამ კუთხის მომავალს გონებისა და სიყვარულის კარნახით შექმნის.

# „ვიზრუნოთ ხანდაზმულებზე“

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

***ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მარტოხელა და სიღარიბის ზღვარზე მცხოვრები ხანდაზმულების დასახმარებლად, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხულოს ფილიალის ორგანიზებითა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საქველმოქმედო ღონისძიება „ვიზრუნოთ ხანდაზმულებზე“ გაიმართა***

ხულოს სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სცენა ადგილობრივ ანსამბლებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს დაეთმოთ. საქველმოქმედო კონცერტის მონაწილეებმა ნახეს სცენები ხულოს თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან.

ღონისძიებიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება ხულოში მცხოვრებ წითელი ჯვრის ბენეფიციარებს, 60 წელს ზემოთ მყოფ მარტოხელა ხანდაზმულ ადამიანებს.

ღონისძიების ფარგლებში, კონცერტთან ერთად, წითელი ჯვრის მოხალისეების მიერ დამზადებული სხვადასხვა აქსესუარებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.



# პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციისთვის

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***პროგრამის „მომავალი პედაგოგი“ ფარგლებში, რომლის მიზანი პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციაა, გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის წარმომადგენლები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ***

შეხვედრაზე მხარეებმა არაერთ საინტერესო საკითხზე იმსჯელეს, მათ შორის ღონისძიებებზე, რომელთა ჩატარება კიდევ უფრო გააღრმავებს მათ თანამშრომლობას. სტუდენტებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს მასწავლებლის ჯილდოს მფლობელმა როლანდ შავაძემ, მასწავლებლის ჯილდოს ათეულის წევრებმა ინგა მოსიძემ და მანანა მენაბდემ, რომლებმაც ყურადღება გაამახვილეს პედაგოგის როლსა და იმ ახლებურ და ინოვაციურ მიდგომებზე, რომელიც უნდა გააჩნდეს თანამედროვე პედაგოგს.

შეგახსენებთ, რომ „მომავალი პედაგოგი“ გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ ინიცირებული წახალისების სასტიპენდიო პროექტია, რომელიც 2020 წლიდან პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტებში ხორციელდება და თითო უმაღლესი სასწავლებლიდან 10 წარმატებულ სტუდენტს აერთიანებს. აღნიშნული პროგრამა არაერთი სტუდენტისთვის გამხდარა მოტივაცია, რათა ისინი კიდევ უფრო მეტად დაინტერესდნენ პედაგოგიკით, თანატოლებში მეტი პოპულარიზაცია გაუწიონ აღნიშნულ პროფესიას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, მათსა და ფონდს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სტიპენდიას იღებს ბსუ-ის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ათი სტუდენტი. რაც შეეხება სასტიპენდიო პროგრამას, მათივე ინფორმაციით, ფონდი აგრძელებს წამახალისებელი სტიპენდიის გაცემას, მასში მონაწილეობის მიღება კი კვლავ შეუძლიათ ბსუ-ის სტუდენტებს.



# საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – ბსუ-ში

***ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - IV“. ინფორმაციას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ავრცელებს***

ბსუ-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საერთაშორისო ფორუმი მიზნად ისახავდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების კვლევას, როგორიცაა საყოველთაო გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაში ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების ახალი ტენდენციები, ამ ცვლილებების არსი და კვლევის მეთოდები.

საერთაშორისო კონფერენცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, ბსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა მარინე გიორგაძემ, ბულგარეთის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ვესსელინ ვალკანოვმა, აშშ-ის საელჩოს საგრანტო პროგრამების კოორდინატორმა



სოფიო ბზიშვილმა გახსნეს და ფორუმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

„სესიის მუშაობაში 200-მდე ქართველი და უცხოელი მეცნიერი მონაწილეობდა - ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ფინეთიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან. ბსუ-ში მიმდინარე წელს აშშ-ს საელჩოს მედიაგანათლების პროგრამის (MEP) ფარგლებში სამაგისტრო პროგრამა „ციფრული მედია და ინოვაციები“ შემუშავდა და ამოქმედდა. კონფერენციაში აღნიშნული პროგრამის პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ, რომლებმაც პროგრამის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

ქართველმა და უცხოელმა მკვლევარებმა ორი დღის განმავლობაში ისეთი აქტუალური საკითხები განიხილეს, როგორიცაა: ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მიდგომები, მასობრივი კომუნიკაციები, ეროვნული თვითმყოფადობა და კულტურული მრავალფეროვნება, კორპუსული ლინგვისტიკა და დიგიტალური ჰუმანიტარია.

საერთაშორისო კონფერენცია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და აჭარის ა რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ დაფინანსებით ჩატარდა“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ამირან ბურიელიძე**

## უკრაინა

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში აცხადებენ, რომ აშშ არ „აძლევს საშუალებას“ ან „არ ახალისებს“ უკრაინას, მის საზღვრებს მიღმა ტერიტორიას დაარტყას. „ჩვენ უკრაინას ვაძლევთ იმას, რაც მას სჭირდება საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზე, უკრაინის მიწაზე გამოსაყენებლად, რათა შეებრძოლოს რუს აგრესორებს, რომლებმაც გადაკვეთეს საზღვარი“, - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ნედ პრაისმა. მისი თქმით, აშშ არ აწვდის უკრაინას იარაღს, რომელიც მან რუსეთის ტერიტორიაზე უნდა გამოიყენოს. „ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ ეს არის თავდაცვითი საშუალებები“, - აღნიშნა პრაისმა. მანამდე, CNN-თან ინტერვიუში, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდმა გამოთქვა ვარაუდი, რომ რუსეთის ბაზებზე ბოლო დროს დრონებით განხორციელებული თავდასხმის უკან რუსები დგანან. „უკრაინელები ძალიან ინოვაციურები არიან. ისინი ძალიან ბევრს მუშაობენ საკუთარი ტექნოლოგიებით და საკუთარი აღჭურვილობით“, - აღნიშნა ნულანდმა. მისივე თქმით, აშშ-ის პოლიტიკა, რომ უკრაინას არ მიეწოდოს თავდასხმითი იარაღი, რომლითაც შესაძლებელია რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმა, არ შეცვლილა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ კიევის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები მოინახულა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, დონეცკისა და ხარკოვის ოლქებიდან დაბრუნების შემდეგ, სახელმწიფოს მეთაურმა უკრაინის შეიარაღებული ძალების დღე მიულოცა ჯარისკაცებს, რომლებიც მკურნალობასა და რეაბილიტაციას გადიან. ზელენსკიმ სამხედროებს მადლობა გადაუხადა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გამბედაობისა და გამძლეობისთვის და სახელმწიფო ჯილდოები გადასცა მათ.

* * *

ევროკავშირმა და ნორვეგიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას უკრაინაში ევროკავშირის სამხედრო დახმარების მისიაში ნებაყოფლობითი ფინანსური წვლილის შეტანასთან დაკავშირებით. ევროკავშირის საბჭოს პრესსამსახურის ცნობით, შეთანხმების თანახმად, ნორვეგია დაახლოებით 14,5 მილიონ ევროს გადარიცხავს მშვიდობის ევროპულ ფონდში. „დღევანდელი ხელმოწერა აფორმებს ამ გადაწყვეტილებას და უზრუნველყოფს შეთანხმების ძალაში შესვლას და ნორვეგიის ეფექტურ წვლილს უკრაინის შეიარაღებული ძალების წვრთნასა და აღჭურვაში, ევროკავშირის სამხედრო დახმარების მისიის ფარგლებში“, - ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს განცხადებაში. მათივე განმარტებით, ნორვეგია ევროკავშირის არაწევრი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ფინანსური წვლილი შეიტანა მშვიდობის ევროპულ ფონდში.

* * *

ამერიკული „ომის შესწავლის ინსტიტუტის“ შეფასებით, კრემლი უარყოფს მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, რომ მოსკოვი მობილიზაციის მეორე ტალღის გამოცხადებას გეგმავს, თუმცა არსებობს რამდენიმე ინდიკატორი იმისა, რომ რუსეთი ამას აპირებს. ამასთან, ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ კრემლი რისკავს მისი სანდოობის კიდევ უფრო შელახვას მობილიზაციის ახალი ტალღის გამოცხადებით, რაზეც არაოფიციალური წყაროები საუბრობენ, მაგრამ რუსი ოფიციალური პირები უარყოფენ. „პუტინის გადაწყვეტილება მობილიზაციის მეორე ტალღის, საყოველთაო მობილიზაციის ბრძანების შესახებ ან თუნდაც უკრაინასთან ომის ოფიციალური გამოცხადების შესახებ ვერ მოაგვარებს იმ შეზღუდვებს, რაც რუსეთის სამხედრო ძალას აქვს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაახლოებით 130 000 ახალწვეულის გაწვრთნა შეუძლია ორწლიანი გაწვევის ციკლის განმავლობაში, მშვიდობიან პერიოდში და დიდი ბრძოლა დასჭირდა მობილიზებულების უფრო დიდი რაოდენობის მოსამზადებლად მოკლე პერიოდში“, - აცხადებენ ორგანიზაციის ანალიტიკოსები. მათივე შეფასებით, მობილიზებულების მოსამზადებლად საჭიროა სულ ცოტა სამი თვე.

* * *

აშშ-ის სენატმა 2023 წლისთვის თავდაცვის რეკორდული მოცულობის ბიუჯეტი დაამტკიცა, რომლის ჯამური თანხაც 847,3 მილიარდ დოლარს შეადგენს და საიდანაც 800 მილიონი უკრაინისთვისაა გამოყოფილი. ახლა დოკუმენტი კონგრესმენებმა და სენატორებმა უნდა დაამტკიცონ. უკრაინის პირდაპირი სამხედრო დახმარების ჯამური მოცულობა 19,3 მილიარდი დოლარია. ბიუჯეტში 6 მილიარდი დოლარი ევროპაში რუსეთის შეკავებაზეა გათვალისწინებული, ხოლო 11,5 მილიარდი აშშ დოლარი - აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში შესაკავებლად. მედია აღნიშნავს, რომ დამტკიცების შემთხვევაში, აშშ-ის 2023 წლის თავდაცვის ბიუჯეტის პროექტი შესაძლოა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი გახდეს.

მოამზადა
**ნაირა ფუტკარაძემ**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/12/22, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „ლექსების გამოფენა“ – პოეზიისა და პროზის დღესასწაული

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*„ბათუმი და ლიტერატურა ძალიან უხდება ერთმანეთს“, - თქვა ლიტერატურული კონკურსის - „ლექსების გამოფენა“ ერთ-ერთმა მონაწილემ და დასძინა, რომ პოეტებისთვის და მწერლებისთვის იგი ნამდვილად დღესასწაულია, როცა მთელი საქართველოდან ბათუმს სტუმრობენ და ეფერებიან ქართული სიტყვის ნამდვილი ოსტატები*

„ლექსების გამოფენაზე“, „ანბანის კოშკის“ ბოლო სართულზე სივრცე ხალხით იყო სავსე და გრძნობდი, რომ თითოეული განმსჭვალული იყო მხატვრული ლიტერატურისგან მოგვრილი სიამოვნებით. იქ მყოფებმა რამდენიმე საათით დაივიწყეს ყოფითი საფიქრალი და კონკურსანტების მიერ აღწერილ რეალურ, თუ გამოგონილ სამყაროში იმოგზაურეს, სამყაროში, რომელიც ხან სიხარულითაა სავსე, ხანაც - ტკივილით...



„ლექსების გამოფენამ“ მეცამეტედ უმასპინძლა ქართველ მწერლებსა და პოეტებს, ამდენივეჯერ, ყოველ ჯერზე სხვადასხვა ჟიურის გადაწყვეტილებით, გამოვლინდნენ გამარჯვებულები. წელს ჟიურიმ (მარინა თექთუმანიძე, რობერტ მესხი, ნინო გუგეშაშვილი და როინ აბუსელიძე) პროზის ნომინაციაში „ასი სიტყვა“ პირველი ადგილი თამთა რეხვიაშვილს მიაკუთვნა, მეორე - ნინო მოდრეკილაძეს, ხოლო მესამე - გიორგი ზედვაკელს. პოეტებს შორის პირველი ადგილი გიორგი გაბაიძეს ერგო, მეორე - ნანა გასვიანს, მესამე - ნინო მოდრეკილაძეს. „ნეკერას პრიზის“ მფლობელი ქეთო სიხარულიძე გახდა, ხოლო ღონისძიებაზე დამსწრე აუდიტორიის რჩეული - მზია ხუჭუა.

- ძალიან დიდი მადლობა ჟიურის ამ გადაწყვეტილებისთვის. სიტყვები არ მყოფნის ჩემი სიხარულის გამოსახატად. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს კონკურსი ჩემთვის არის წლის მოვლენა და დღესასწაული. მენანება ყოველი წელი, როცა პრობლემების გამო ვერ მოხერხდა ამ კონკურსის ჩატარება და, შესაბამისად, ვერ შევძელი მასში მონაწილეობა. ძალიან მიყვარს „ლექსების გამოფენა“ და ასეთი შესანიშნავი კონკურსის დაფუძნებისთვის დიდი მადლობა ზაზა ფირცხალაიშვილს, ძალიან კარგ ადამიანს. ჩემთვის მართლა მოულოდნელი იყო ეს გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ ათეულში ხშირად გავდივარ, პირველ ადგილს არ ველოდი. ძალიან დიდი ხანია, არაფერი დამიწერია და ეს იყო ჩემი ბოლოდროინდელი გულისნადები. მიხარია, რომ იმდენად გულწრფელად შევძელი ემოციების გადმოტანა ფურცელზე, ასეთი კარგი შედეგი მომიტანა. ჩემი ტექსტი უშვილო წყვილზეა და ბევრი თანამედროვე წყვილის ტკივილს ეხება. ვამბობ იმას, რომ ოჯახში მთავარი სიყვარული და ურთიერთპატივისცემაა. თუ ეს არის, ვერანაირი პრობლემა ვერ დაჩრდილავს წყვილის ბედნიერებას, - გვითხრა კონკურსში „ასი სიტყვა“ პირველი ადგილის მფლობელმა თამთა რეხვიაშვილმა.

ლიტერატურული კონკურსის მნიშვნელობაზე თავისი მოსაზრება გაგვიზიარა საღამოს წამყვანმა, პოეტმა ამირან ჯანჯღავამ. მისი თქმით, „ლექსების გამოფენა“ კულტურული პროდუქტია, რომელიც პირველ რიგში, ადამიანებს აერთიანებს, აცოცხლებს ლიტერატურას, მხარს უჭერს მწერლობას და კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ლიტერატურა ყოველთვის იყო ის მთავარი საცავი, სადაც მთელი ჩვენი იდენტობა და თვითმყოფადობაა შენარჩუნებული, რომ ლიტერატურა არის გზა, რომელიც ინდივიდს სჭირდება საკუთარი თავის შესაცნობად:

- ამ ფესტივალთან ჩემი კავშირი დაიწყო იმით, რომ ერთ-ერთ „ლექსების გამოფენაზე“ მონაწილის ამპლუაში ვიყავი, რაც საოცრად ამაღელვებელი, განსხვავებული ემოციისა და სურნელის მატარებელი იყო ჩემთვის. ეს არის საკუთარ თავში დარწმუნების, თავის შეცნობისა და ადამიანების უფრო შეყვარების კარგი გზა. აქ მარტო ლიტერატურა არ არის, ეს არის საოცარი ურთიერთობები. პოსტკოვიდურ პერიოდში და, ზოგადად, ელექტრონულ და სოციალურ-ტექნოლოგიური განვითარების პერიოდში ურთიერთობები უფრო დისტანცირებული და იზოლირებული გახდა, „ლექსების გამოფენამ“ კი ლიტერატურის მოყვარული ადამიანები, ყველაზე მთავარი თემით, რასაც პოეზია და პროზა ჰქვია, დააბრუნა ერთმანეთთან, - გვითხრა ამირან ჯანჯღავამ.



პოეტ გენრი დოლიძის აზრით, „ლექსების გამოფენა“ ბრენდად იქცა ჩვენი ქალაქისთვის.

- „ლექსების გამოფენა“ უნიკალური პროექტია თავისი სპეციფიკით, თავისი წესებით და მიხარია, რომ უკვე მეცამეტედ მასპინძლობს მას ბათუმი. წელს, ყველა დაბრკოლების მიუხედავად, ორგანიზატორებმა მაინც შეძლეს მისი ჩატარება და ქართული ლიტერატურის მაჯისცემა ბათუმში კვლავ გაისმა. იმედი მაქვს, იგი გაგრძელდება და ყოველწლიურად ჩვენი ქალაქი თავის სიტყვას იტყვის ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ეს პროექტი კიდევ იმით განსხვავდება სხვებისგან, რომ სახელების და გვარების კონკურსი კი არა, ტექსტების კონკურსია. ყველა ტექსტი დანომრილია და ჟიურის წინაშე თანაბრად წარსდგება როგორც დამწყები ავტორი, რომელსაც აქამდე შეიძლება ლიტერატურაში არ იცნობდნენ, ასევე პარნასზე დამკვიდრებული, ცნობილი ავტორებიც. შესაბამისად, მათი ტექსტები თანაბარ პირობებშია. ვფიქრობ, მსგავსი ობიექტური, საინტერესო პროექტის ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის განვითარებისთვის, - განაცხადა გენრი დოლიძემ.



რამდენად რთული იყო ჟიურიში ყოფნა და გაუჭირდათ თუ არა გამარჯვებულების გამოვლენა, ამასთან დაკავშირებით გაზეთ „აჭარასთან“ პოეტმა და „ლექსების გამოფენის“ ჟიურის წევრმა როინ აბუსელიძემ ისაუბრა:

- დავიწყებ იმით, რომ „ლექსების გამოფენა“ ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსია დღევანდელ ლიტერატურულ საქართველოში, რომელიც, სამწუხაროდ, რიგი პრობლემების გამო ყოველ წელს ველარ ტარდება. მოხარული ვარ, რომ წელს მოვახერხეთ, კიდევ ერთხელ დაბრუნებოდა ეს ძალიან მნიშვნელოოვანი პროექტი ლიტერატურისმოყვარე ადამიანებს. რთული აღმოჩნდა ჟიურის წევრობა და როგორც პროზაში, ასევე პოეზიაში სამ-სამი გამარჯვებულის გამოვლენა. ჟიურის წევრებმა ბევრი ვიმსჯელეთ, ბევრი ვიკამათეთ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ერთობლივი გადაწყვეტილება მივიღეთ, ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ობიექტურობა არ დაგვეკარგა.

ღონისძიების დასასრულ „ლექსების გამოფენის“ თითოეულ კონკურსანტსა და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ლიტერატურული კონკურსის დამფუძნებელმა და ორგანიზატორმა ზაზა ფირცხალაიშვილმა:

- მოხარული ვარ, რომ „ლექსების გამოფენა“, რამდენიმეწლიანი ტაიმაუტის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა ბათუმს. ეს არის პოეზიისა და პროზის ნამდვილი დღესასწაული. მთელი საქართველოდან მწერლები და პოეტები სტუმრობენ ბათუმს. პროექტში აქტიურად არიან ჩართულნი ემიგრანტებიც. აღსანიშნავია, რომ „ლექსების გამოფენის“ მხარდამჭერნი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, ემიგრანტებიც არიან. სწორედ მათ დააფინანსეს საპრიზო ფონდი. მინდა თითოეულ ადამიანს, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა ფესტივალის ჩატარებაში და ასე სასიამოვნოდ წარმართვაში, მადლობა გადავუხადო. ყოველ კონკურსზე იზრდება დაინტერესებულთა რიცხვი, რაც ძალიან მახარებს და მაბედნიერებს. „ლექსების გამოფენა“ არაერთი ადამიანისთვის გამხდარა სტიმული, არაერთი დამწყები მწერლისა თუ პოეტისთვის მიუცია ბიძგი, რომ არ შეჩერდნენ, წერონ და იბრძოლონ განვითარებისთვის, გამარჯვებებისთვის... ასე იქნება მომავალშიც, - განაცხადა ზაზა ფირცხალაიშვილმა.



# სენსაციური მუნდიალი

კატარი 2022-ის მერვედფინალში მაროკოსა და ესპანეთის დაპირისპირება უგოლოდ დასრულდა. ბურთი არც დამატებითი დროში გასულა, პენალტების სერიაში კი... მაროკომ ანგარიშით 3:0 გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ მაროკოელთა მეკარემ იასინ ბონომ ბუსკეტსსა და სოლერს აუღო, ხოლო სარაბიამ ბურთი ძელს გაარტყა. პედრიმ 18 წლისა და 123 დღის ასაკში მუნდიალის ფლეი-ოფში სასტარტოში ითამაშა და ამით ლეგენდარული პელეს შემდეგ (ვინც 1958 წლის მუნდიალზე სასტარტოში 17 წლისა და 249 დღის ასაკში იასპარეზა) ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა. სერხიო ბუსკეტსმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-17 მატჩში ითამაშა. 34 წლის საყრდენი იკერ კასილასსა და სერხიო რამოსს გაუთანაბრდა. ასე რომ, ესპანეთის ნაკრების ისტორიაში მუნდიალზე ყველაზე მეტი მატჩი ბუსკეტსმა, კასილასმა და რამოსმა ჩაატარეს.



რაც შეეხება მაროკოელთა მეტოქეს, ის პორტუგალია-შვეიცარიის მატჩში გამოვლინდა, რომელშიც ლუზიტანელებმა „კერკეტი კაკალი“ - შვეიცარიის ნაკრები ანგარიშით 6:1 გაანადგურეს.

საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო მთავარმა მწვრთნელმა ფერნანდუ სანტუშმა: რონალდუს ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში „ბენფიკას“ 21 წლის ფორვარდი გონსალო რამოში ათამაშა და სწორედ ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი. ახალგაზრდა თავდამსხმელმა ანგარიში მე-17 წუთზე გახსნა. 33-ე წუთზე სხვაობა ორამდე „პორტუს“ მცველმა პეპემ გაზარდა (ის მუნდიალის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი - 39 წლისა და 283 დღის ფეხბურთელი გახდა, ვინც პლეი-ოფში გოლი გაიტანა). რამოშმა 51-ე წუთზე დუბლი გაიფორმა. ზუსტად 4 წუთში გერეირომ გაისროლა და 4:0 დააფიქსირა. შვეიცარიამ პრესტიჟის გოლი 58-ე წუთზე გაიტანა - თავი აკანჯიმ გამოიჩინა. 67-ე წუთზე რამოშმა მესამედ გაიტანა. საბოლოო წერტილი კი ცვლილებაზე გამოსულმა რაფაელ ლეაომ 92-ე წუთზე დასვა. მოკლედ, გონსალო რამოშს დიდებული თამაში ჰქონდა - ჰეთ-თრიქი შეასრულა და საგოლე პასიც მიითვალა. ეს პირველი ჰეთ-თრიქია მიმდინარე მუნდიალზე. პორტუგალიისთვის ეს ისტორიაში სულ მესამე მეოთხედფინალია (მანამდე 1966 და 2006 წლებში იყო). ჩანს, რომ ნაკრები დიდებულ ფორმაშია და რესურსიც გააჩნია, რომ უფრო მოუმატოს და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის რეალურად იბრძოლოს.





პორტუგალია-მაროკოს მერვედფინალური მატჩი 10 დეკემბერს გაიმართება. მათთან ერთად ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ბრაზილია-ხორვატია, ნიდერლანდები-არგენტინა, ინგლისი-საფრანგეთი.

**ამირან ბურიელიძე**